ორის მარკეტი

„ორის მარკეტის“ პროგრამული უზრუნველყოფის დანიშნულებაა სავაჭრო ან დისტრიბუციის ობიექტ(ებ)იდან საქონლის მიწოდების, ანგარიშწორების, შეკვეთის მიღების,შიდა გადაზიდვის და დისტრიბუციის ოპერაციების შესრულება.

„ორის მარკეტში“ შესრულებული ოპერაციების ასახვა მთავარ ბაზაში და პირიქით **„ორის მენეჯერიდან“** სასაქონლო ნაშთებისა და ორგანიზაციების სიების მიღება ხორციელდება მონაცემების პერიოდული ურთიერთგაცვლით. გაექსპორტებული ინფორმაცია ფორმირდება **XML**ფაილების სახით, რომელთა გაცვლის სხვადასხვა მეთოდი არსებობს: ლოკალური ქსელით გადაგზავნა(ექსპორტ/იმპორტი ფაილში), ელექტრონული ფოსტით გაგზავნა, **Google Drive**-ით გაგზავნა და ა.შ.

„ორის მარკეტის“ პროგრამასთანმუშაობის დასაწყებად (ინფორმაციის გასაცვლელად), პირველ ეტაპზე აუცილებელია **„ორის მენეჯერში“**რეგისტრატორის ამოცანის ისნტოლაცია(იხილეთ **ორის მარკეტის და დისტრიბუციის ოპერაციების რეგისტრატორის ინსტოლაცია**).რეგისტრატორის ინსტოლაციის შემდეგ**„ორის მარკეტისთვის“**უნდა მომზადდეს (სასურველია მისივე დასახელების მაღაზიის ან საწყობის) შესაბამისი მონაცემთა ბაზა, სადაც მითითებული იქნება ამ საწყობთან დაკავშირებული დისტრიბუტორ(ებ)ი.სავაჭრო ობიექტის ან დისტრიბუტორის დასამატებლად შედით **მენიუ/ამოცანები/სასაქონლო აღრიცხვა/დისტრიბუცია/დისტრიბუტორები.** (იხილეთ**სავაჭრო ობიექტის/ დისტრიბუტორის დამატება**).

სავაჭრო ობიექტის ან დისტრიბუტორის დამატების შემდეგ **„ორისმენეჯერში“** თავდაპირველად აუცილებელია შესრულდეს მონაცემების გაგზავნა რეგისტრატორის ამოცანის გამოყენებით მენიუ: **ამოცანები/ სასაქონლო აღრიცხვა/დისტრიბუცია/დისტრიბუტორის/მაღაზიისოპერაციების რეგისტრაცია/ექსპორტი/იმპორტი** გაიხსნება ეკრანი **„დისტრიბუტორის/მაღაზიის ოპერაციების დარეგისტრირება მონაცემთა ბაზაში“**. (იხილეთ **„დისტრიბუტორის/მაღაზიის ინფორმაციის ექსპორტ/იმპორტი და ოპერაციების დარეგისტრირება“**)

ორის მარკეტის და დისტრიბუციის ოპერაციების რეგისტრატორის ამოცანის ისნტოლაცია

სასურველ ბაზაში მარკეტთან/დისტრიბუტორთან მუშაობის დასაწყებად (ორის მარკეტში/მენეჯერში შესრულებული ოპერაციების ინფორმაციის გასაცვლელად) საჭიროა ორის მარკეტის და დისტრიბუციის ოპერაციების რეგისტრატორის ამოცანის დაყენება. ამისთვის ორის მენეჯერში უნდა აირჩიოთ მენიუ **ფაილი/VBA პროექტის გაშვება ფაილიდან.** გახსნილ ეკრანში უნდა აირჩიოთ ორის მარკეტის და დისტრიბუციისამოცანის **.omp** გაფართოების საინსტოლაციო ფაილი **OrisDistributor** რომელიც მოყვება ორის მარკეტის საინსტოლაციო პაკეტს(ფაილის დასახელება შეიცავს ვერსიის ნომერს მაგ.: OrisDistributor2_0_137). ფაილის არჩევის შემდეგ ეკრანზე იხილავთ ამოცანის საინსტოლაციო ფანჯარას **„ორის მარკეტის და დისტრიბუციის ოპერაციების რეგისტრატორი“**:



თუ სარგებლობთ **„ორის მენეჯერის“** ქსელური ვერსიით, მაშინ ამ ეკრანის ქვედა ნაწილში მოუნიშნეთ მოსანიშნი **„ადმინისტრაციული ინსტოლირება“**

. **„ორის მენეჯერის“** ერთ ადგილიანი ვერსიის შემთხვევაში დატოვეთ იგი მოუნიშნავი და დააჭირეთ ღილაკს



ინსტოლაციის შემდეგ **„ორის მენეჯერის“** მენიუში **ამოცანები/ სასაქონლო აღრიცხვა/ დისტრიბუცია** დაემატება ამოცანის **„ორის მარკეტის და დისტრიბუციის ოპერაციების რეგისტრატორი“**შესაბამისი რამოდენიმე ქვემენიუ

ამოცანების მენიუ რეგისტრატორის ინსტოლირებამდე:



ამოცანების მენიუ რეგისტრატორის ინსტოლირების შემდეგ:



„ორის მარკეტის და დისტრიბუციის ოპერაციების რეგისტრატორი“- ამოცანისგანახლებულივერსიისინსტოლაციისთვის, უნდა იმოქმედოთ ზუსტად იგივენაირად, როგორც ახალი საინსტოლაციო ფაილის დაყენების დროს. აირჩიეთ მენიუ **ფაილი/** **VBA პროექტის გაშვება ფაილიდან.** გახსნილ ეკრანში უნდა აირჩიოთ ორის მარკეტის და დისტრიბუციისამოცანის **.omp** გაფართოების საინსტოლაციო ფაილი **OrisDistributor** (ფაილის დასახელება შეიცავს ვერსიის ნომერს მაგ.: OrisDistributor2_0_137). ფაილის არჩევის შემდეგ ეკრანზე იხილავთ ამოცანის საინსტოლაციო ფანჯარას **„ორის მარკეტის და დისტრიბუციის ოპერაციების რეგისტრატორი“:**



თუ სარგებლობთ **„ორის მენეჯერის“** ქსელური ვერსიით, მაშინ ამ ეკრანის ქვედა ნაწილში მოუნიშნეთ მოსანიშნი **„ადმინისტრაციული ინსტოლირება“**

. **„ორის მენეჯერის“** ერთ ადგილიანი ვერსიის შემთხვევაში დატოვეთ იგი მოუნიშნავი და დააჭირეთ ღილაკს

:



ამოცანის **„ორის მარკეტის და დისტრიბუციის ოპერაციების რეგისტრატორი“** არსებული ვერსიის შესამოწმებლად აირჩიეთ მენიუ **დახმარება/ ორის მენეჯერის შესახებ** ეკრანზეიხილავთ ფანჯარას About Oris Manager მონიშნეთ მოსანიშნი ☐ ამოცანები & კომპონენტები იხილავთ ეკრანს სადაც მოცემულია პროგრამაში არსებული ამოცანების ჩამონათვალი ვერსიების მიხედვით.

შესაძლებელია **„ორის მარკეტის და დისტრიბუციის ოპერაციების რეგისტრატორი“** ამოცანის წაშლა ან კორექტირება ამისათვის აირჩიეთ მენიუ **ფაილი/ VBA პროექტის გაშვება ფაილიდან.** გახსნილ ეკრანში უნდა აირჩიოთ ორის მარკეტის და დისტრიბუციისამოცანის **.omp** გაფართოების საინსტოლაციო ფაილი **OrisDistributor** (ფაილის დასახელება შეიცავს ვერსიის ნომერს მაგ.: OrisDistributor2_0_137). ფაილის არჩევის შემდეგ ეკრანზე იხილავთ ამოცანის საინსტოლაციო ფანჯარას **„ორის მარკეტის და დისტრიბუციის ოპერაციების რეგისტრატორი“:**



ღილაკით **„გასწორება“** შესაძლებელია დაზიანებული მონაცემების გასწორება და ამოცანის განახლება.

ღილაკით **„წაშლა“** მიმდინარე ბაზიდან იშლება **„ორის მარკეტის და დისტრიბუციის ოპერაციების რეგისტრატორის“** არსებული ვერსია.

თუ სარგებლობთ **„ორის მენეჯერის“** ქსელური ვერსიით, მაშინ ამ ეკრანის ქვედა ნაწილში მოუნიშნეთ მოსანიშნი **„ადმინისტრაციული ინსტოლირება“**

. **„ორის მენეჯერის“** ერთ ადგილიანი ვერსიის შემთხვევაში დატოვეთ იგი მოუნიშნავი.

სავაჭრო ობიექტის/ დისტრიბუტორის დამატება

სავაჭრო ობიექტის ან დისტრიბუტორის დასამატებლად შედით **მენიუ/ამოცანები/სასაქონლო აღრიცხვა/დისტრიბუცია/დისტრიბუტორები** და გაიხსნება ეკრანი **„Distributors“**:



ეკრანის „**Distributors**“ გამოძახების შემდეგ დააჭირეთ დამატების ღილაკს, რაც გამოიწვევს ეკრანის „**დისტრიბუტორები**“ ველების გააქტიურებას.

კოდი - ველში **„კოდი“** შეიყვანეთ ახალი თანამშრომლის (სავაჭრო ობიექტის) კოდი, რაც შეიძლება დააფორმიროთ სიმბოლოებით და ციფრებით. ამ ველთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის, რომ აღნიშნული ობიექტის შესაბამისი თანამშრომლის არჩევის შემდეგ, მისი მონაწილეობით მიმდინარე საქონელბრუნვითი ოპერაციების სხვადასხვა დოკუმენტების უკვე არსებულ ნომერს სუფიქსად დაემატება არჩეული დისტრიბუტორის კოდი.

დასახელება - ველში **„დასახელება“** შეიტანეთ სავაჭრო ობიექტის ან თქვენთვის სასურველი დასახელება.

!გაითვალისწინეთ ის, რომ თუ მომდევნო ველებში **„თანამშრომელი“** ან **„ორგანიზაცია“** ჩამოშლადი სიიდან აირჩევთ რომელიმე ჩანაწერს, მაშინ სისტემა ავტომატურად შეცვლის (ჩაანაცვლებს) ველში **„დასახელება“** მითითებულ მნიშვნელობას არჩეული თანამშრომლით ან ორგანიზაციით. თუმცა შესაძლებელია დასახელების ხელით შეცვლაც.

თანამშრომელი - ველში **„თანამშრომელი“** აირჩიეთ საჭირო თანამშრომელი ან დისტრიბუტორი, რომლის ანგარიშზეც შემდგომში შესრულდება ამ სავაჭრო ობიექტთან დაკავშირებული ანგარიშსწორების ოპერაციები. თუ არ შეავსებთ თანამშრომლის ველსგატარებები შესრულდება პარამეტრების ველში მითითებულ ანგარიშებზე (მენიუ:**ამოცანები/ სასაქონლო აღრიცხვა/ დისტრიბუცია/ დისტრიბუტორის/მაღაზიის ოპერაციების რეგისტრაცია/ექსპორტი/იმპორტი/პარამეტრები**)

ორგანიზაცია - ველში **„ორგანიზაცია“** აირჩიეთ საჭიროდისტრიბუტორი ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება. **(არ გამოიყენება)**

დისტრიბუტორის ჯგუფი - ველში **„დისტრიბუტორის ჯგუფი“** აირჩიეთ საჭირო სავაჭრო ობიექტის ან დისტრიბუტორის ჯგუფი, თუ თქვენი ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე სავაჭრო ობიექტები ან დისტრიბუტორები დაჯგუფებული გყავთ რაიმე მახასიათებლის მიხედვით.**(არ გამოიყენება)**

ფასდაკლების % - ველში **„ფასდაკლების %“** შეიყვანეთ ამ კონკრეტული სავაჭრო ობიექტისთვის ან დისტრიბუტორისთვის გათვალისწინებული ფასდაკლების პროცენტი.**(არ გამოიყენება)**

ლიმიტი - ველში **„ლიმიტი“** შეიყვანეთ ამ კონკრეტული სავაჭრო ობიექტისთვის ან დისტრიბუტორისთვის გათვალისწინებული ზედა ლიმიტი, რომელზე მეტი ღირებულების საქონელსაც მას არ გაატანთ.**(არ გამოიყენება)**

ბორტი (საწყობი)- ველში **„ბორტი (საწყობი)“** აირჩიეთ სავაჭრო ობიექტისთვის ან დისტრიბუტორისთვის საჭირო საწყობი ან ბორტი, ან ღილაკით გადით ეკრანზე **„საწყობები“** და დაამატეთ ახალი.

! გაითვალისწინეთ, რომ სავაჭრო ობიექტისთვის ან დისტრიბუტორისთვის საწყობის მითითება აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ **„ორის მარკეტმა“** იფუნქციონიროს.

კომენტარი - ველში **„კომენტარი“**,შეგიძლიათ მიუთითოთ შესაბამის თემაზე თქვენთვის გამოსადეგი და სასარგებლო ინფორმაცია.

შემოსავლების სამსახურის მშობელი ზედნადების ID. ველში **„შემოსავლების სამსახურის მშობელი ზედნადების ID“**, შემოსავლების სამსახურის საიტზე ატვირთული მშობელი ზედნადების **ID**ნომერის ასარჩევად ღილაკით გადით ეკრანზე „ **Waybills**“, იხილავთ ატვირთული ზედნადებების ჩამონათვალს, აირჩიეთ სასურველი და შეივსება ველი **შემოსავლების სამსახურის მშობელი ზედნადების ID.**

საწყობი შეკვეთების რეგისტრაციისთვის - ველში **„საწყობი შეკვეთების რეგისტრაციისთვის“** ვირჩევთ სასურველ საწყობს დისტრიბუტორის ან მაღაზიისათვის. ღილაკით გადით ეკრანზე „**Warehouses**“, იხილავთ საწყობების ჩამონათვალს სადაც შეცლებთ არსებულის არჩევას ან/და ახალი საწყობის დამატებას.

ეკრანის „**Distributors**“ ქვედა ნაწილში მოცემულია ოთხი ეკრანი:

ეკრანში **„დისტრიბუტორის საქონელი“**, აირჩიეთ ის საქონელი, რომლითაც სარგებლობს აღნიშნული სავაჭრო ობიექტი ან დისტრიბუტორი. ეკრანის გასააქტიურებლად დადექით ეკრანზე და დააჭირეთ დამატების ღილაკს და ველში **„საქონლის დასახელება“** აირჩიეთ საჭირო საქონელი, ან ღილაკით გამოიძახეთ ეკრანი „**სასაქონლო სია**“ და დაამატეთ ახალი საქონელი.იმ შემთხვევაში თუ არ ისარგებლებთ ამ ეკრანით გაექსპრტდება საქონლის/მომსახურების სრული სია. გაითალისწინეთ, რომ **„ორის მარკეტში“**გაექსპორტდება მხოლოდ ის საქონელი რომელსაც მითითებული აქვს გაყიდვის ფასი.

ეკრანში **„დისტრიბუტორის საქონლის ჯგუფები“**, აღწერილია ის სასაქონლო ჯგუფები, რომლითაც სარგებლობს აღნიშნული სავაჭრო ობიექტი ან დისტრიბუტორი.ეკრანის გასააქტიურებლად დადექით ამ ეკრანზე, დააჭირეთ დამატების ღილაკს და ველში **„დაჯგუფება“** აირჩიეთ საქონლის საჭირო ჯგუფი, ან ღილაკით გამოიძახეთ ეკრანი „**სასაქონლო ჯგუფები**“ და დაამატეთ ახალი ჯგუფი. ამ ეკრანს იყენებენ იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული სავაჭრო ობიექტი ან დისტრიბუტორი მუშაობს გარკვეული ნიშნით დაჯგუფებული საქონლის ასორტიმენტით.

ეკრანში **„დისტრიბუტორის ორგანიზაციები“**, აირჩიეთ ორგანიზაციებირომლებთანაც სავაჭრო ობიექტი ან დისტრიბუტორი ანხორციელებს ოპერაციებს. ამ ეკრანის გასააქტიურებლად დადექით ეკრანზე, დააჭირეთ დამატების ღილაკს და გააქტიურეთ ველები.

თუ არ ისარგებლებთ ამ ეკრანით, მაშინ აღნიშნულ სავაჭრო ობიექტს ან დისტრიბუტორს **„ორის მარკეტის“** ორგანიზაციების სიაში გამოუჩნდება ორგანიზაციის ბაზაში არსებული ორგანიზაციების სრული სია.

დასახელება- ველში **„დასახელება“** აირჩიეთ იმ ორგანიზაციების ან ფიზიკური პირების დასახელებები, რომელსაც ემსახურება აღნიშნული სავაჭრო ობიექტი ან დისტრიბუტორი ან ღილაკით გადით ეკრანზე „**ორგანიზაციების სია**“ და დაამატეთ სასურველი ორგანიზაცია.

გაყიდვის ფასის ტიპი -ველში **„გაყიდვის ფასის ტიპი“** აირჩევთ სავაჭრო ობიექტისთვის ან დისტრიბუტორისთვის გათვალისწინებულ ფასის ტიპს ან თუ საჭირო ტიპს ვერ ნახავთ ღილაკით გამიძახებთ ცხრილს „**გაყიდვის ფასის ტიპები**“ და დაამატებთ ახალ, გაყიდვის ფასის ტიპს.**(არ გამოიყენება)**

ბლოკირების ნაშთი - ველში **„ბლოკირების ნაშთი“** აირჩევთ თანხის რაოდენობის მაქსიმუმს, რომელზე მეტი ღირებულების საქონელსაც ორგანიზაცია ვერ მიაწვდის აღნიშნულ სავაჭრო ობიექტს ან დისტრიბუტორს.**(არ გამოიყენება)**

ბლოკირების ნაშთის ვალუტა - ველში **„ბლოკირების ნაშთის ვალუტა“** აირჩევთ ვალუტას, რომლითაც ხდება სავაჭრო ობიექტთან ან დისტრიბუტორთან ანგარიშსწორება. თუ სიაში არ ჩანს საჭირო ვალუტა, მაშინ ღილაკით გამოიძახებთ ეკრანს „**Currencies**“, რომელშიც დაუმატებთ სასურველ ვალუტას.**(არ გამოიყენება)**

ეკრანში **„დისტრიბუტორის საწყობები მარკეტის საქონლის გადატანა/გადმოტანის ოპერაციებისთვის“** მიუთითეთ საწყობები მარკეტში საქონლის გადატანის ოპერაციების შესასრულებლად. საწყობის ასარჩევად დააჭირეთ დამატების ღილაკს და გააქტიურებულ ველში აირჩიეთ საქონლის საჭირო ჯგუფი, ან ღილაკით გამოიძახეთ ეკრანი „**Warehouses**“ და დაამატეთ ახალი საწყობი.

სატრანსპორტო საშუალებების დასამატებლად გახსენით **მენიუ/ამოცანები/სასაქონლო აღრიცხვა/დისტრიბუცია/სატრანსპორტო საშუალებები.** იხილავთ ეკრანს**„სატრანსპორტო სასუალებები“ - Vehicles:**



დააჭირეთ დამატების ღილაკს, რაც გამოიწვევს ეკრანის „**სატრანსპორტო საშუალებების**“ ველების გააქტიურებას და შეავსეთ ველები შესაბამისი მონაცემებით.

ექსპედიტორების დასამატებლად გახსენით **მენიუ/ამოცანები/სასაქონლო აღრიცხვა/დისტრიბუცია/ ექსპედიტორები.** იხილავთ ეკრანს**„ექსპედიტორები - Forwarders:**



დააჭირეთ დამატების ღილაკს, რაც გამოიწვევს ეკრანის **ექსპედიტორების“** ველების გააქტიურებას და შეავსეთ ველები შესაბამისი მონაცემებით.

„დისტრიბუტორის/მაღაზიის ინფორმაციის ექსპორტ/იმპორტი და ოპერაციების დარეგისტრირება“

„ორის მარკეტში“ შესრულებული ოპერაციების **„ორის მენეჯერის“** ცხრილებში ასახვისთვის და მათი გათვალისწინებით სასაქონლო ნაშთებისა და **„ორის მარკეტში“** ორგანიზაციების სიის განახლებისთვის – თავდაპირველად აუცილებელია შესრულდეს მონაცემების გაგზავნა რეგისტრატორის ამოცანის გამოყენებით.

მონაცემების იმპორტის ოპერაციის შესრულებისას**”ორის მენეჯერში”** არსებული შესაბამისი ინფორმაცია გადადის ე.წ. ბუფერულ ზონაში „ **დისტრიბუტორის/მაღაზიის ოპერაციების დარეგისტრირება მონაცემთა ბაზაში“**, სადაც პასუხისმგებელ პირს შეუძლია გადაამოწმოს ინფორმაციის სისწორე დაოპერაციების დარეგისტრირებამდე წაშალოს სასურველი ოპერაცია და/ან შეცვალოს მხოლოდ მყიდველი ორგანიზაციის დასახელება. სხვა, დანარჩენი

მონაცემების, შესწორების აუცილებლობის შემთხვევაში ჯერ უნდა მოხდეს მიღებული ინფორმაციის დარეგისტრირება და შემდეგ **”ორის მენეჯერში”**, შესაბამის ოპერაციაში, მისი გაკორექტირება.

იმისთვის, რომ განახორციელოთ ინფორმაციის ექსპორტი/იმპორტი და მონაცემების რეგისტრაცია შედით მენიუ: **ამოცანები/ სასაქონლო აღრიცხვა/ დისტრიბუცია/ დისტრიბუტორის/მაღაზიის ოპერაციების რეგისტრაცია/ექსპორტი/იმპორტი** გაიხსნება ეკრანი **„დისტრიბუტორის/მაღაზიის ოპერაციების დარეგისტრირება მონაცემთა ბაზაში“:**



ეკრანი **„დისტრიბუტორის/მაღაზიის ოპერაციების დარეგისტრირება მონაცემთა ბაზაში“** შედგება რამოდენიმე ბარათისგან.

ბარათი მიწოდებები/შეკვეთები/მობრუნებები/საცალო გაყიდვები

ბარათში **„მიწოდებები/შეკვეთები/მობრუნებები/საცალო გაყიდვები“**შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ, ზედა ნაწილში მოცემულია შემკვეთის, მიმღების, მყიდველისადა დისტრიბუტორის რეკვიზიტები. მეორე, ქვედა ნაწილში ყოველი მიწოდება/შეკვეთის ოპერაციის შესაბამისი საქონლის ჩამონათვალი თანხების თანხლებით.

ბარათი ანგარიშსწორებები

ბარათში **„ანგარიშსწორებები“** მოცემულია მიწოდება/შეკვეთებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებების მონაცემები სტატუსის, თარიღის და ა.შ ველების მიხედვით:



ბარათი საბორტო საწყობების ნაშთები

ბარათში **„საბორტო საწყობების ნაშთები“** მოცემულია სასაქონლო რაოდენობრივი ნაშთები გამოთვლის თარიღის, საწყობებისა და დისტრიბუტორების მიხედვით.

ბარათი

ბარათში **„ორგანიზაციების ვალები“** არის ორი ეკრანი, რომლებშიც **„ორის მარკეტში“** შესრულებული ოპერაციების გამოთვლის თარიღის მდგომარეობით მითითებულია კლიენტი ორგანიზაციების და დისტრიბუტორების ვალები. პირველში – **„ჯამური ვალები“** მოცემულია კლიენტი ორგანიზაციების ჯამური ვალები სავაჭრო ობიექტის ან დისტრიბუტორის მიმართ. მეორეში – **„ვალები დისტრიბუტორების მიმართ“** მოცემულია კლიენტი ორგანიზაციების ვალები დისტრიბუტორების მიმართ:



ბარათი პარამეტრები

ბარათი **„პარამეტრები“** შედგება რამოდენიმე ნაწილისაგან. მასში მოცემულია მშობელი ანგარიშები, რომლებიც მონაწილეობენ კლიენტის დავალიანების დაანგარიშებასთან დაკავშირებულ გამოთვლებში:



ნაწილში **„გამოიყენეთ მითითებული ანგარიში ანგარიშსწორების ოპერაციების რეგისტრაციისას“** ავტომატურად მოცემულია საწარმოს პერსონალის მიმართ მოთხოვნების სინთეზური ანგარიშის ნომერი **1430**, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ბმულით მშობელი ანგარიში დისტრიბუტორის ვალდებულებების შესასრულებლად, შეგიძლიათ გამოიძახოთ ეკრანი **„ანგარიშები“**, რომელშიც შეძლებთ აირჩიოთ ორგანიზაციის თანამშრომლის – დისტრიბუტორის კონკრეტული ანალიტიკური ანგარიში.

თუ მონიშნავთ მოსანიშნს **„სასაქონლო აღრიცხვის პატამეტრებში საცალო გაყიდვაში მოთითებული მომხმარებლის ანგარიში“**



პროგრამა ისარგებლებს სასაქონლო აღრიცხვის პარამეტრებში მითითებული ანგარიშებით (**სასაქონლო აღრიცხვა/ პარამეტრები/ სასაქონლო აღრიცხვის პარამეტრები/საცალო გაყიდვა/სალარო ანგარიში**- სალაროს ანგარიში ბმულით შესაძლებელია განყოფილება/მომხმარებლისმიხედვით სალაროს ანგარიშის არჩევა).

„პროექტი“ აირჩიეთ ის პროექტი, რომლის ფარგლებშიც ხდება აღნიშნული საქონლის **„მიწოდების“**, **„გადაზიდვის“** ან **„დისტრიბუციის“** ოპერაციის შესრულება, თუკი ასეთი არსებობს. ან ბმულით პროექტი გამოიძახეთ ეკრანი **„პროექტები“** და დაამატეთ ახალი პროექტი. შესაძლოა **„პროექტი“** ჩანდეს

პარამეტრებში, მისი ჩართვაშესაძლებელია მენიუდან **სასაქონლო აღრიცხვა/ პარამეტრები/ სასაქონლო აღრიცხვის პარამეტრები/პროექტი** ☑ ვაჩვენოთ პროექტი .

თუ მონიშნავთ მოსანიშნს ☑ ჩგდ-ს ნომრის მითითება აუცილებელია ანგარიშსწორების ოპერაციაში, მაშინ ანგარიშსწორებების ეკრანში **„ახალი ანგარიშსწორება“** სისტემა ჩგდ–ს ნომრის მიუთითებლად არ მოგცემთ ამ ოპერაციის განხორციელების საშუალებას.

თუ მონიშნავთ მოსანიშნს ☑ დისტრიბუტორს უფლება აქვს აირჩიოს ცალკეული საქონლის ფასი, მაშინ საქონლის მიწოდების დროს დისტრიბუტორს შეეძლება ყოველ საქონელს შეუსაბამოს მისთვის მისაღები ფასის ტიპი.

☑ ჩართე დისტრიბუტორის სახელი დარეგისტრირებული ოპერაციის კომენტარში ველის მონიშვნის შემთხვევაში ორის მენეჯერში დარეგისტრირებული 02 ოპერაციის კომენტარში ჩაიწერება დისტრიბუტორის სახელი.

„დისტრიბუტორს შეუძლია შეცვალოს ორგანიზაციის ფაქტიური მისამართი“ მონიშვნის შემთხვევაში ☑ დისტრიბუტორს შეუძლია შეცვალოს ორგანიზაციის ფაქტიური მისამართი შესაძლებელია მყიდველი ორგანიზაციის ფაქტიური მისამართის ცვლილება.

თუ მონიშნავთ მოსანიშნს ☑ ორის მარკეტში/ორის დისტრიბუტორში გააგზავნე მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომელთაც მონიშნული აქვთ მოსანიშნი "მყიდველი". **„ორის მარკეტში“** გაექსპორტდება მხოლოდ ის ორგანიზაციები რომელთაც ორგანიზაციების სიაში მონიშნული აქვთ ველი მყიდველი.

„მშობელი ანგარიშები, რომლებიც მონაწილეობენ კლიენტის დავალიანების გამოთვლაში“

მშობელი ანგარიშები, რომლებიც მონაწილეობენ კლიენტის დავალიანების გამოთვლაში მოცემულია ანგარიშის ნომრები, დასახელებები და მშობელი ცხრილის დასახელებები.

„შეინახე ელფოსტით მიღებული ფაილები ფოლდერში“ მონიშვნის შემთხვევაში ☐ შეინახე ელფოსტით მიღებული ფაილები ფოლდერში: ელფოსტით მიღებული ფაილები ჩაიწერება მის გასწვრივ შევსებულ მისამართზე.

ნაწილში „ოპერაციის შინაარსი ზედნადებისთვის“ ოპერაციის შინაარსი ზედნადებისთვის, შეგიძლიათ აირჩიოთ იმ ოპერაციის სახეობა, რომელსაც ასრულებთ. ეს ოპერაციებია: ◉ მიწოდება, ◉ გადაზიდვა და ◉ დისტრიბუცია.**(არ გამოიყენება)**

ბეჭდვის პარამეტრები ღილაკზე დაჭერით იხსნება ეკრანი **„ჯიბის კომპიუტერის დოკუმენტების ბეჭდვის პოზიციები (სმ)“**:



ამ ეკრანში მოცემულია სავაჭრო ოპერაციის დროს გამოყენებადი დოკუმენტებისთვის ბეჭდვის პარამეტრები, რომლებსაც იყენებს საბეჭდი მოწყობილობა. კერძოდ, ზედნადებებისა და ანგარიშ–ფაქტურებისთვის მოცემულია სიმბოლოების კოორდინატები სანტიმეტრებში.**(არ გამოიყენება)**

დოკუმენტი - ველში **„დოკუმენტი“** მოცემულია იმ დოკუმენტის დასახელება, რომელში ჩასაწერი სიმბოლოების კოორდინატებიც მოცემულია მის გასწვრივ ველებში.**(არ გამოიყენება)**

აღწერა - ველში **„აღწერა“** მოცემულია, მის გასწვრივ ველში **„დოკუმენტი“** არსებული დოკუმენტის, ამა თუ იმ უჯრედში ჩასაწერი ინფორმაციის აღწერა.**(არ გამოიყენება)**

ველის სახელი - ველში **„ველის სახელი“** მოცემულია მის გასწვრივ ველში **„დოკუმენტი“** არსებული დოკუმენტის, ამა თუ იმ უჯრედის ველის დასახელება ბაზაში.**(არ გამოიყენება)**

Xველში **„X“** მოცემულია ამა თუ იმ უჯრედში ჩასაწერი პირველი სიმბოლოს ჰორიზონტალური (**X**) კოორდინატი, ფურცლის მარცხენა კიდიდან, სანტიმეტრებში.**(არ გამოიყენება)**

Yველში **„Y“** მოცემულია ამა თუ იმ უჯრედში ჩასაწერი პირველი სიმბოლოს ვერტიკალური (**Y**) კოორდინატი, ფურცლის ზედა კიდიდან, სანტიმეტრებში.**(არ გამოიყენება)**

დაბეჭდე ეს ველი - მონიშნეთ მოსანიშნი ველი **„დაბეჭდე ეს ველი“** იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ მის შევსებას ველში **„აღწერა“** აღწერილი ინფორმაციით.**(არ გამოიყენება)**

დოკუმენტის ტიპი - ველში **„დოკუმენტის ტიპი“** მოცემულია ნომერი, რომელიც სისტემაში პირობითად აქვს მინიჭებული ამა თუ იმ დასაბეჭდი დოკუმენტის ტიპს.**(არ გამოიყენება)**

გარკვეული პერიოდულობით ან ნებისმიერი საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილმა თანამშრომელმა უნდა განახორციელოს ე.წ. სინქრონიზაციის ოპერაცია, რომელიც მოახდენს ცენტრალური ოფისისა და სავაჭრო ობიექტის ბაზებში არსებული ინფორმაციების ურთიერთგაცვლას.



ბარათი ფოლდერიდან ფაილების იმპორტის პარამეტრები

ბარათში **„ფოლდერიდან ფაილების იმპორტის პარამეტრები“** შესაძლებელია მარკეტიდან გაექსპორტებული მონაცემების ავტომატური შემოწმება და იმპორტი მითითებული პერიოდის მიხედვით.

ველში „**ფაილების იმპორტის ფოლდერი**“ ვირჩევთ საქაღალდეს რომელშიც გვსურს მონაცემების გაექსპორტება. მომდევნო ველში მითითებული წუთების მიხედვით სინქრონიზატორი შეამოწმებს საიმპორტო ფაილებს საქაღალდეში და მათი არსებობის შემთხვევაში შეასრულებს იმპორტსა და რეგისტრაციის ოპერაციას.

თუ მონიშნავთ მოსანიშნს

☑ ავტომატური იმპორტის დაწყებამდე შეეკითხე მომხმარებელს დაიწყოს თუ გადაიდოს ოპერაცია.

იმპორტის დაწყებამდე იხსნება ეკრანი **„დისტრიბუტორისგან/მაღაზიისგან მოსული ფაილების ავტოიმპორტი“**



იმპორტის გადადება **„შემახსენე“** ღილაკზე დაჭრით და ჩამოშლადი სიიდან დროის არჩევით არის შესაძლებელი. **„ფაილების იმპორტი ფოლდერიდან და ოპერაციების დარეგისტრირება“** არჩევის შემთხვევაში ხდება მონაცემების იმპორტი და რეგისტრაცია.



იმპორტის ოპერაციის შესასრულებლად ეკრანის „ **დისტრიბუტორის/მაღაზიის ოპერაციების დარეგისტრირება მონაცემთა ბაზაში**“ ქვედა ნაწილში დააჭირეთ ღილაკს „**ფაილების იმპორტი ფოლდერიდან და ოპერაციების დარეგისტრირება**“

პროგრამა მონაცემებს აიღებს „**ფოლდერიდან ფაილების იმპორტის პარამეტრები**“ ბარათში „**ფაილების ჯგუფური იმპორტის ფოლდერი**“ ველში მითითებული საქაღალდედან. მოცემულ შემთხვევაში მოხდება იმპორტირებული მონაცემების ავტომატური რეგისტრაცია.

„**შეასრულეთ იმპორტი ფაილიდან**“

შესაძლებელია სასურველი საქაღალდის არჩევა ოპერაციების იმპორტისთვის „ **დისტრიბუტორის/მაღაზიის ოპერაციების იმპორტი**“



ფაილის იმპორტის შესრულების შემდეგ, ოპერაციების დარეგისტრირებამდე შესაძლებელია მიღებული მონაცემების წაშლა ღილაკით **„წაშალე ოპერაცია/ოპერაციები დასარეგისტრირებელი სიიდან“**

და ორგანიზაციის ცვლილება ღილაკით **„გამოცვალე ორგანიზაცია“.**

ღილაკის არჩევის შემდეგ გაიხსნება ეკრანი „**გამოვალე ორგანიზაცია დისტრიბუტორის დაურეგისტრირებელ ოპერაციებში**“



ველში **საძებნი ორგანიზაცია** ვირჩევთ ორგანიზაციას, რომელიც უნდა შეიცვალოს. ველში **არსებული ორგანიზაცია** ვირჩევთ ორგანიზაცას რომლითაც გვსურს არსებულის შეიცვლა.

ცვლილებების შეტანის შემდეგ ხდება ოპერაციების დარეგისტრირება ღილაკით **„დაარეგისტრირე ოპერაციები“**



.

თუ მონიშნულია



ოპერაციები დარეგისტრირდება სტატუსით გადადებული.

„მიწოდებები/შეკვეთები/მობრუნებები/საცალო გაყიდვები“ და **„ანგარიშსწორებები“**-ის ნაწილში შეივსება შესაბამისი ველები დასარეგისტრირებელი,

დარეგისტრირებული და ვერ დარეგისტრირებული გატარებების რაოდენობების მიხედვით.



“მიიღე მონაცემები ელფოსტით” 

შესაძლებელია მონაცემების სინქრონიზაცია ელფოსტის საშუალებით.

იმისათვის, რომ **”ორის მენეჯერიდან”** შესაძლებელი გახდეს **”ორის მარკეტისთვის”** და პირიქით, ელექტრონული ფოსტით მონაცემების გაგზავნა, საჭიროა თითოეული დისტრიბუტორისთვის გაიხსნას ელექტრონული ფოსტა (რომელსაც არ ექნება ე.წ. **“SSL”** ფუნქცია) და ეკრანის ” **ნაშთების გამოთვლა და მონაცემების ექსპორტირება/გაგზავნა დისტრიბუტორისთვის/მაღაზიისთვის”** შესაბამის ველებში მიეთითოს არჩეული ელექტრონული ფოსტის **POP3** და **SMTP** სერვერების მისამართები, სერვერების შესაბამისი **POP3** და **SMTP** პორტები(აღნიშნული მონაცემების მიღება შესაძლებელია პროვაიდერი კომპანიისაგან), ელექტრონული ფოსტის მომხმარებლის სახელი და პაროლი:



ღილაკით **„საქონლის სურათების ექსპორტი“** 

შესაძლებელია სასაქონლო სიაში არსებული სურათების ექსპორტი. (საქონელზე სურათის მიბმა: სასაქონლო აღრიცხვა / საქონლის/მომსახურების სია/ ველი თანხმლების დოკუმენტები).

„ორის მენეჯერიდან“ მონაცემების ექსპორტის განსახორციელება შესაძლებელია ღილაკით **„ნაშთების გამოთვლა და მონაცემების ექსპორტირება/გაგზავნა დისტრიბუტორისთვის/მაღაზიისთვის“:**

ღილაკზე დაჭერით გაიხსნება ეკრანი **„ნაშთების გამოთვლა და მონაცემების ექსპორტირება/გაგზავნა დისტრიბუტორისთვის/მაღაზიისთვის“**. ეკრანი შედგება ორი ნაწილისაგან.

პირველ ნაწილში მოცემულია ჩამონათვალი დისტრიბუტორების და/ან მაღაზიის დასახლებების და სხვა ველების მიხედვით.

მეორე ნაწილში **დისტრიბუტორი /მაღაზიის მონაცემთა ბაზაში გასაექსპორტებელი მომხმარებლ(ებ)ის სია**

მოცემულია პირველ ნაწილში მოცემული კონკრეტული დისტრიბუტორების და/ან მაღაზიის მომხმარებლები. შესაძლებელია მომხმარებლების დამატება ან წაშლა , ასევე მომხმარებლების უფლებების მინიჭება შესაბამისი ველების მიხედვით.



ღილაკით **„გამოთვალე ნაშთები და გააგზავნე მონაცემები ელფოსტით“** შესაძლებელია მონაცემების ელფოსტის საშუალებით გაგზავნა

ამისათვის **„ნაშთების გამოთვლა და მონაცემების ექსპორტირება/გაგზავნა დისტრიბუტორისთვის/მაღაზიისთვის“** ნაწილში არსებულ ჩამონათვალში კონკრეტულ დისტრიბუტორს და/ან მაღაზიას შესაბამის ველებში უნდა მიეთითოს არჩეული ელექტრონული ფოსტის **POP3** და **SMTP** სერვერების მისამართები,

სერვერების შესაბამისი **POP3** და **SMTP** პორტები(აღნიშნული მონაცემების მიღება შესაძლებელია პროვაიდერი კომპანიისაგან), ელექტრონული ფოსტის მომხმარებლის სახელი და პაროლი.

ღილაკით **„გამოთვალე ნაშთები და შესრულე მონაცემების ექსპორტი ფაილში“** მონაცემები იგზავნება კონკრეტულ საქაღალდეში. ამისათვის **„ნაშთების გამოთვლა და მონაცემების ექსპორტირება/გაგზავნა დისტრიბუტორისთვის/მაღაზიისთვის“** ნაწილში არსებულ ჩამონათვალში დისტრიბუტორის და/ან მაღაზიისთვის ველში **‘ექსპორტის ფაილი’** ვირჩევთ საქაღალდეს რომელშიც გვსურს მონაცემების გაექსპორტება **„ორის მენეჯერიდან“**.

„ორის მენეჯერში“ გათვალისწინებულია **„ორის მარკეტში“** შესრულებული და უკვე გაგზავნილი ოპერაციების დაჯგუფების საშუალებები.

ორის მარკეტიდან მიღებული ოპერაციების სანახავად გახსენით **მენიუ/ამოცანები/ სასაქონლო აღრიცხვა/ დისტრიბუცია/ ფაილების იმპორტირების/მიღების ისტორია,** გასხნილ ფანჯარაში იხილავთ ოპერაციების ჩამონათვალს გამოგზავნის თარიღის, მომხმარებლის და სხვა ველების მიხედვით:



მენიუ **მენიუ/ამოცანები/ სასაქონლო აღრიცხვა/ დისტრიბუცია/ ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ შვილი და მშობელი ორგანიზაციები** შედგება ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში მოცემულია მშობელი ორგანიზაციების ჩამონათვალი. მეორე ნაწილში შვილი ორგანიზაციების სია შესაბამისი რეკვიზიტებით:



იმისთვის, რომ ნახოთ **„ორის მარკეტში"** შესრულებული მიწოდების/შეკვეთის სინქრონიზებული ოპერაციები, შედით **მენიუ/ამოცანები/ სასაქონლო აღრიცხვა/ დისტრიბუცია/ დისტრიბუტორის/მაღაზიის დარეგისტრირებული ოპერაციები**:



მენიუ **„მიწოდებები/შეკვეთები/მობრუნებები/საცალო გაყიდვები/გადატანები“** შედგება ორი ნაწილისაგან:



ეკრანში **„დარეგისტრირებული დისტრიბუტორის/მაღაზიის მიწოდების/შეკვეთის/მობრუნების/საცალო გაყიდვის ოპერაციები“** მოცემულია ოპერაციის ტიპი, მისი შესრულების და მიღების თარიღების და სხვა შესაბამისი ველების მიხედვით.

ეკრანში **„სასაქონლო სია“** მოცემულია ინფორმაცია იმ საქონლის შესახებ, რომელიც ფიგურირებდა ზედა ეკრანში მონიშნულ ოპერაციაში.

„ანგარიშსწორებები“ შეიცავს დისტრიბუტორის/მაღაზიის დარეგისტრირებული ანგარიშსწორებების ოპერაციების ჩამონათვალს შესაბამისი ველების მიხედვით:



ამოცანები/ სასაქონლო აღრიცხვა/ დისტრიბუცია/ ფაილების იმპორტირების/მიღების ისტორიამენიუს არჩევით შესაძლებელია სარეგისტრაციო სიიდან წაშლილი ოპერაციების ნახვა:



„დისტირბუტორის/მაღაზიის სარეგისტრაციო სიიდან წაშლილი მიწოდებების/შეკვეთების/მობრუნების/გადატანის ოპერაციები“ მენიუსარჩევითიხილავთ დასარეგისტრირებელი სიიდან წაშლილ ოპერაციებს. ეკრანი შედგება ორი ნაწილისაგან: **„სარეგისტრაციო სიიდან**

წაშლილიმიწოდების/შეკვეთის/მობრუნების/საცალო გაყიდვის ოპერაციები“და **„სასაქონლო სია“.**

ეკრანში **„სარეგისტრაციო სიიდან წაშლილი მიწოდების/შეკვეთის/მობრუნების/საცალო გაყიდვის ოპერაციები“** მოცემულია ოპერაციის ტიპი, მისი შესრულების და მიღების თარიღების და სხვა შესაბამისი ველების მიხედვით.

ეკრანში **„სასაქონლო სია“** მოცემულია ინფორმაცია იმ საქონლის შესახებ, რომელიც ფიგურირებდა ზედა ეკრანში მონიშნულ ოპერაციაში.

„დისტრიბუტორის/მაღაზიის სარეგისტრაციო სიიდან წაშლილი ანგარიშსწორების ოპერაციები“ მოცემულია სარეგისტრაციო სიიდან წაშლილი დისტრიბუტორის/მაღაზიის დარეგისტრირებული ანგარიშსწორებების ოპერაციების ჩამონათვალი შესაბამისი ველების მიხედვით.

„ორის მარკეტის“ინსტოლაცია

„ორის მარკეტის“ საინსტოლაციო პაკეტის გადმოსაწერად ისარგებლეთ შემდეგი მისამართით **oris.ge-მენიუ/გადმოწერა/ორის მარკეტის ლიცენზირებული ვერსია**(http://oris.ge/index.php?option=com_content&view=article&id=127&Itemid=921&lang=ka) ეკრანზე იხილავთ **„ორის მარკეტის“** საინსტოლაციო ბმულს ვერსიის ნომრის, ფაილის დასახელების და შემცველობის მიხედვით. გადმოწერეთ C:\ ან D:\ დისკზე და გაუშვით საინსტოლაციო პაკეტი (OrisMarketSetup.exe)ადმინისტრატორის უფლებით (Run ass Administrator) ეკრანზე იხილავთ შემდეგ ფანჯარას:



დააჭირეთ ღილაკს

ეკრანზე გამოჩნდება ფანჯარა საინსტოლაციო ფაილის განარქივებისთვის:



განარქივება მოხდება საქაღალდეში (ფოლდერში) OMarketSetup რომელსაც შექმნის საინსტოლაციო პაკეტი.

"Brouse"ღილაკის არჩევით შეძლებთ თქვენთვის სასურველი საქაღალდის არჩევას სადაც განარქივდება საინსტოლაციო პაკეტი.

განარქივებისთვის დააჭირეთ ღილაკს **„Install"**.განარქივების შემდეგ იხილავთ ორის მარკეტის საინსტოლაციო ეკრანს:



დააჭირეთ ბმულს ორის მარკეტის ინსტოლაცია, გამოვა ინსტოლირების ეკრანი:



დააჭირეთ ღილაკს Run და დაიწყება **"ორის მარკეტის"** პროგრამის ინსტოლაციის პროცესი.



დააჭირეთ ღილაკს

იხილავთ ფანჯარას:



პროგრამა დაინსტოლირდება **Folder** ველში მითითებულ საქაღალდეში,მისი შეცვლა შესაძლებელია

ღილაკის საშუალებით.

ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში ეკრანზე გამოჩნდება დიალოგური ფანჯარა **Oris Market Disk Space** სადაც მოცემულია კომპიუტერზე არსებული დისკების ჩამონათვალი რომელზეც შესაძლებელია **”ორის მარკეტის”** ინსტოლაცია, ასევე თითოეული დისკის არსებული და ხელმისაწვდომი მოცულობა.

ველში **Install Oris Market for yourself, or for anyone who uses this computer**:

ღილაკის მონიშვნის შემთხვევაში**”ორის მარკეტის”**პროგრამასთან წვდომა ექნება ოპერაციულ სისტემაში არსებულ ყველა მომხმარებელს (User Accounts).

ღილაკის მონიშვნის შემთხვევაში **”ორის მარკეტის”**პროგრამასთან წვდომა ექნება მხოლოდ იმ მომხმარებელს(User), რომელიც დააინსტოლირებს პროგრამას.

დააჭირეთ ღილაკს

იხილავთ ფანჯარას:



დააჭირეთ ღილაკს

იხილავთ ფანჯარას:



დააჭირეთ ღილაკს

.

ინსტოლაციის დასრულების შემდეგ ეკრანზე („desktop”-ზე)გამოჩნდება ბმული –**Oris Market**

.

ახლა უკვე შეგიძლიათ გახსნათ **„ორის მარკეტი“** და შეამოწმოთ კავშირი ბაზასთან.

ბმულზე **Oris Market**

დაჭერით გაიხსნება ეკრანი ***მონაცემთა ბაზასთან დაკავშირება - „Connect to database“***:



SQL სერვერი: ველში **„SQL სერვერი“** ავტომატურად მითითებულია ლოკალური კომპიუტერის დასახელება, (მაგ.KAKO-PC\ORIS) რომლის შეცვლაც შესაძლებელია არჩევით ან ჩაწერით მარკეტის მხარის კომპიუტერში დაინსტოლირებული SQL Server-ის დასახელებით.

მონაცემთა ბაზა: ველში **„მონაცემთა ბაზა“** ავტომატურად მითითებულია OrisDistributorDB ფაილი. შეგიძლიათ აირჩიეთ **„ორის მარკეტის“** მონაცემთა ბაზის დასახელება.

გამოიყენე Windows–ის ავტორიზაცია: ამ ველის მონიშვნის შემთხვევაში ☑ გამოიყენე Windows-ის ავტორიზაცია ბაზასთან კავშირი დამყარდება Windows–ის ავტორიზაციით. თუ ბაზა მოთავსებულია სხვა (არა ლოკალურ კომპიუტერზე), მაშინ გადავნიშნოთ ეს ველი, რის შემდეგაც გამოჩნდება 2 დამატებითი ველი **„მომხმარებელი“** და **„პაროლი“**. ველში **„მომხმარებელი“** შეიყვანეთ SQL სერვერის მომხმარებლის სახელი, ხოლო ველში **„პაროლი“**შეიყვანეთ SQL სერვერის მომხმარებლის პაროლი. (ავტომატურად **„მომხმარებელი“ არის sa, ხოლო “პაროლი” არის sa1**)

ღილაკით შეამოწმე კავშირი – 

შესაძლებელია მონაცემთა ბაზასთან კავშირის შემოწმება.

ამ ველების შევსების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს

, რომელიც გახსნის ეკრანს „*Oris Market*“:

რამოდენიმე **„ორის მარკეტის“** ინსტოლაცია ერთ კომპიუტერზე

რამოდენიმე ბაზასთან ერდროულად მუშაობისთვის დააკოპირეთ ოპერაციულ სისტემაში დაინსტოლირებული **ორის მარკეტის** საქაღალდე, მასში არსებული პროგრამის გამშვები ფაილი OrisMarket გადაიტანეთ სამუშაო პანელზე:



ეკრანზე გაჩნდება ბმული –**Oris Market -Shortcut**

. ბმულზე დაჭერით გაიხსნება პროგრამა საიდანაც შეძლებთ ახალ ბაზასთან დაკავშირებას, მენიუ **ფაილი/ადმინისტრირება/** **მონაცემთა ბაზასთან დაკავშირება** გაიხსნება ეკრანი ***მონაცემთა ბაზასთან დაკავშირება - „Connect to database“***:



SQL სერვერი:ველში **„SQL სერვერი“** აირჩიეთ ან ჩაწერეთ მარკეტის მხარის კომპიუტერში დაინსტოლირებული SQL Server-ის დასახელება.

მონაცემთა ბაზა: ველში **„მონაცემთა ბაზა“** აირჩიეთ ან ჩაწერეთ **„ორის მარკეტის“**მონაცემთა ბაზის დასახელება.

გამოიყენე Windows–ის ავტორიზაცია: ამ ველის მონიშვნის შემთხვევაში ☑ გამოიყენე Windows-ის ავტორიზაცია ბაზასთან კავშირი დამყარდება Windows–ის ავტორიზაციით. თუ გამოიყენებთ ამ მონიშვნას, მაშინ ეკრანზე **„Connect to database“** გაქრება ველები **„მომხმარებელი“** და **„პაროლი“**. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა ბაზას დაუაკვშირდებით პირდაპირ – ყოველგვარი მომხმარებლის სახელის და პაროლის გარეშე.

მომხმარებელი: ველში **„მომხმარებელი“** შეიყვანეთ SQL სერვერის მომხმარებლის სახელი.

პაროლი: ველში **„პაროლი“**შეიყვანეთ SQL სერვერის მომხმარებლის პაროლი.

ღილაკით შეამოწმე კავშირი – 

შესაძლებელია მონაცემთა ბაზასთან კავშირის შემოწმება.

ამ ველების შევსების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს

.

მოცემული ინსტრუქცია სრულდება სასურველი ბაზების რაოდენობის შესაბამისად.

„ორის მარკეტის“ აღწერა

პროგრამის მთავარ მენიუში **„ფაილი“** მოცემულია რამოდენიმე ქვემენიუ: **„პარამეტრები“**, **”ადმინისტრირება“** და **„გასვლა“**.



პარამეტრები:

მენიუ ***„ფაილის“***,ქვემენიუდან ***„პარამეტრები“*** შესაძლებელია მთელი რიგი პარამეტრების დაყენება:



ეკრანში ***„პარამეტრები“*** არის შემდეგი ბარათები:

1.**“ორგანიზაციის პარამეტრები“.**

ბარათში ორგანიზაციის პარამეტრები შეგიძლიათ მიუთითოთ ორგანიზაციის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი და სხვა პარამეტრები, ან დააჭირეთ ღილაკს შეავსე სისტემის მფლობელი ორგანიზაციის პარამეტრებით და ორგანიზაციის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი და ფაქტიური მისამართი ავტომატურად შეივსება (ორის მენეჯერიდან გაექსპორტებული ფაილის ორის მარკეტში მიიმპორტების შემდეგ)ორის მენეჯერში დაფიქსირებული სისტემის მფლობელი ორგანიზაციის პარამეტრებით. აქვე შესაძლებელია ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტების, ტელეფონის ნომრისა და პირველი პირის მითითება.

2. **„ელფოსტა“.**

ბარათში ელფოსტა იმისთვის, რომ ელექტრონული ფოსტით, წარმატებით შესრულდეს ინფორმაციის გაცვლა, აუცილებელია (ისევე როგორც **”ორის მენეჯერში”)”ორის მარკეტის”** შესაბამისი ველები შევავსოთ ელექტრონული ფოსტის პარამეტრებით.



ამ ეკრანის შესაბამის ველებში მიუთითეთ არჩეული ელექტრონული ფოსტის **POP3**და **SMTP**სერვერების მისამართები, სერვერების შესაბამისი **POP3**და **SMTP** პორტები, ელექტრონული ფოსტის მომხმარებლის სახელი და პაროლი. მომხმარებლის ცვლილების შემთხვევაში, საკმარისია მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მომხმარებლის სახელისა და პაროლის ცვლილება.

3. „შტრიხკოდის თანხლება“

ბარათში 

შესაბამისი მოსანიშნის მონიშვნა/გადანიშვნით ხდება საქონლის მიწოდების, შეკვეთის, მობრუნებისა და გადატანა/გადმოტანის ოპერაციებში საქონლის შტრიხკოდის სკანერით არჩევის რეჟიმის ჩართვა-გამორთვა.

4. „საცალო გაყიდვის ოპერაციები“

ბარათში 

შესაძლებელია საცალო გაყიდვის ოპერაციის პარამეტრების დაყენება:



შესაბამისი მოსანიშნის მონიშვნით **დოკუმენტის ნომერი შეიძლება დაფორმირდეს**: მომხმარებლის მიხედვით წლის ჭრილში,მომხმარებლის მიხედვით ან მთვლელის მიხედვით;

“მომხმარებლის მიხედვით წლის ჭრილში” და **“მომხმარებლის მიხედვით”** არჩევის შემთხვევაში აქტიურდება ფანჯარა სადაც მოცემულია ბაზაში არსებული მომხმარებლების ჩამონათვალი:



მოსანიშნის **„ავტომატურად დაიბეჭდოს ჩეკი“** მონიშვნის შემთხვევაში საცალო გაყიდვის ოპერაციის შესრულების შემდეგ სალარო აპარატზე ავტომატურად ამოიბეჭდება ჩეკი, მსგავსი

პარამეტრის მონიშვნა შესაძლებელია თითოეული იუზერისთვის მომხმარებლის უფლებებში **„დაიბეჭდოს ჩეკი სალაროს აპარატზე“.**

ველში **„ფასის ტიპი“** მითითებული ფასის ტიპით ავტომატურად შესრულდება საცალო გაყიდვის ოპერაციები, თუმცა, თუ ორის მარკეტის მომხმარებელს უფლებებში მონიშნული აქვს ფასის ტიპის ცვლილების უფლება, შესაძლებელია საცალო გაყიდვის ოპერაციაში სხვა ფასის ტიპის არჩევა;

„აჩვენე პარალელური ფანჯარა“-მოსანიშნის მონიშვნით შესაძლებელია მყიდველმაც დაინახოს ეკრანი მისაწოდებელი საქონელის ჩამონათვალით;

„აჩვენე საცალო ოპერაციების სია“- მოსანიშნის მონიშვნის შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია შესრულებული საცალო გაყიდვის ოპერაციების სიის ნახვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ მიმდინარე საცალო გაყიდვის ოპერაციის ეკრანის ნახვა.

„ვაჩვენოთ მყიდველი“ - მოსანიშნის მონიშვნის შემთხვევაში საცალო გაყიდვის ოპერაციის ეკრანზე გაჩნდება მყიდველის ველი, სადაც მყიდველის არჩევა შესაძლებელია ორგანიზაციების სიიდან.

„დასაშვებია მომსახურების გაყიდვა“- მოსანიშნის მონიშვნის შემთხვევაში საცალო გაყიდვის ოპერაციიდან სასაქონლო სიაზე გასვლისას გვიჩვენებს მომსახურებებსაც, რომელიც შეიძლება ავირჩიოთ საცალო გაყიდვის ოპერაციაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სასაქონლო სიაში არ ჩანს მომსახურება.

„ოპერაციის დასამთავრებლად გამოიყენეთ ღილაკი“ F4 -კლავიატურის „F4“ ღილაკზე დაჭერით შესრულდება საცალო გაყიდვის ოპერაცია;

“ციფრული კლავიატურის+ ღილაკი”- ციფრული კლავიატურის“+” ღილაკზე დაჭერით შესრულდება საცალო გაყიდვის ოპერაცია;

„შტრიხკოდის სკანერით საქონლის არჩევის რეჟიმი“ მოსანიშნის მონიშვნა/გადანიშვნის შემთხვევაში საცალო გაყიდვის ოპერაციაშიც მსგავსად მიწოდების და სხვა სასაქონლო ოპერაციებისა, შესაძლებელია საქონლის შტრიხკოდის სკანერით არჩევის რეჟიმის ჩართვა/გამორთვა.

„კოდის მითითების შემდეგ კურსორი გადავიდეს რაოდენობის ველზე“- მოსანიშნი აქტიურია მხოლოდ საქონლის შტრიხკოდის სკანერით არჩევის რეჟიმის შემთხვევაში და გულისხმობს იმას, რომ, თუ ეს მოსანიშნი აქტიურია, საცალო გაყიდვის ოპერაციაში სკანერით საქონლის არჩევის შემდეგ კურსორი ავტომატურად დადგება რაოდენობის ველზე.

5. **„ზედნადებები“**

ბარათში 

ხდება პარამეტრების მითითება ზედნადების ასატვირთად მიწოდებისა და გადატანის ოპერაციებისთვის ცალ-ცალკე:



ეკრანის მარჯვენა ზედა ნაწილში, რომელიც საერთოა მიწოდებისა და გადატანის ოპერაციებისთვის უნდა მივუთითოთ სერვისის მომხმარებელი და, ასევე შესაბამისი მოსანიშნის 

მონიშვნის შემთხვევაში მოხდება სასაქონლო ზედნადებში საქონლის დაჯგუფება კოდით, დასახელებით, ერთეულით და ფასით, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ ოპერაციაში არჩეული ორი ან მეტი საქონლის კოდი, დასახელება, ერთეული და ფასი დაემთხვევა, სასაქონლო ზედნადების ფორმაში მოხდება ასეთი საქონლის დაჯგუფება.

„მიწოდების ოპერაციისთვის" ზედნადების ასატვირთად განისაზღვრება შემდეგი პარამეტრები:

„ავტომატურად აიტვირთოს ზედნადები ოპერაციის შესრულების შემდეგ"- თუ მოსანიშნი მონიშნულია, მიწოდების ოპერაციის ეკრანზე

ღილაკზე დაჭერის შემდეგ ავტომატურად აიტვირთება ამ ოპერაციის შესაბამისი სასაქონლო ზედნადები.

„ვაჩვენოთ ზედნადების პარამეტრები მის ატვირთვამდე"- მოსანიშნი გულისხმობს, რომ ჯერ გამოვიდეს ზედნადების მონაცემების ეკრანი, სადაც შეგვიძლია მივუთითოთ ან შევცვალოთ ზედნადების პარამეტრები და შემდეგ აიტვირთოს სასაქონლო ზედნადები.

„ზედნადების დასრულების შემდეგ ავტვირთოთ ანგარიშ/ფაქტურა" და

„ანგარიშ/ფაქტურა გადავუგზავნოთ მყიდველს" –მოსანიშნები პარამეტრებში ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზედნადების ატვირთვა ხდება ავტომატურად, მისი პარამატრების ჩვენების გარეშე, სხვა შემთხვევაში ზედნადების ეკრანზე არის ამის მონიშვნის საშუალება.

„ველის მნიშვნელობები მიუთითებლად" - განყოფილებაში მითითებული პარამეტებით ავტომატურად შეივსება სასაქონლო ზედნადების მონაცემების ეკრანი ახალი ზედნადების ასატვირთად.

გადატანის ოპერაციისათვის ზედნადების პარამეტრებში მოსანიშნებს **„ავტომატურად აიტვირთოს ზედნადები ოპერაციის შესრულების შემდეგ“** და **„ვაჩვენოთ ზედნადების პარამეტრები მის ატვირთვამდე“**- ზუსტად იგივე დანიშნულება აქვს, რაც მიწოდების ოპერაციისათვის.

„ველის მნიშვნელობები მიუთითებლად“ განყოფილებაში მითითებული პარამეტებით ავტომატურად შეივსება სასაქონლო ზედნადების მონაცემების ეკრანი გადატანის ოპერაციიდან ახალი სასაქონლო ზედნადების ასატვირთად.

6. „სასაქონლო/მომს.სიის ველების დასახელებები

ბარათში 

შესაძლებელია სასაქონლო სიის შემდეგ ველებს: საგნობრივი კლასიფიკატორი,საქონლის/მომს. ტიპი,საქონლის/მომს. ჯგუფი და მოკლე დასახელება შევუცვალოთ დასახელებები, რის შემდეგაც ნებისმიერი ეკრანიდან სასაქონლო სიაზე გასვლისას აღნიშნული ველები გამოჩნდება ახალი დასახელებით.



7. „იმპორტი“

ბარათში 

ხდება ორის მარკეტში მონაცემების იმპორტის პარამეტრების დაყენება:



თუ მონიშნულია მოსანიშნი **„ნებადართულია იმპორტის ოპერაციის შესრულება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არის ორის მენეჯერში გასაექსპორტებელი მონაცემები“**, ორის მარკეტში შეიძლება ორის მენეჯერიდან ნაშთების მიიმპორტება მარკეტის მიმდინარე ოპერაციების გაექსპორტების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯერ უნდა მოხდეს მარკეტიდან ოპერაციების გაექსპორტება და შემდეგ იქნება შესაძლებელი ახალი ინფორმაციის მიიმპორტება.

აქვე შეიძლება მიეთითოს დროის ის ინტერვალი, რომლის გასვლის შემდეგ პერიოდულად შემოწმდება მითითებული საქაღალდე და მოხდება მონაცემების ავტომატური იმპორტი. თუ დროის ინტერვალში წერია 0, მონაცემთა ავტომატური იმპორტი არ მოხდება.

„ავტომატური იმპორტის ოპერაციის დაწყებამდე ეკრანზე გამოიტანე შეკითხვა ოპერაციის გადადების ან შესრულების შესახებ“ - მოსანიშნის მონიშვნით **იმპორტის** პარამეტრებში მითითებული ინტერვალის გასვლის შემდეგ გამოვა შეკითხვის ეკრანი:



ღილაკზე დაჭერის შემდეგ გამოვა შეტყობინება იმპორტის ოპერაციის დაწყების შესახებ:



იმპორტის ოპერაციის დასრულების შემდეგ სისტემა შეგვატყობინებს ამის შესახებ:



იმ შემთხვევაში, თუ ვასრულებთ სხვა ოპერაციას და გვინდა ჯერ დავასრულოთ ეს ოპერაცია და შემდეგ მივიიმპორტოთ ფაილი, შეგვიძლია ავირჩიოთ მოლოდინის დრო და დავაჭიროთ ღილაკს:

, მითითებული დროის გასვლის შემდეგ ისევ გამოვა ავტომატური იმპორტის დიალოგის ფანჯარა.

ბარათი **„პროფორმა ინვოისი“** შედგება რამოდენიმე ველისგან:

„დასათაურების სურათის ფაილი“ და „დაბოლოების სურათის ფაილი“ ველებში ვირჩევთ სასურველ სურათებს მითითებული პარამეტრების მიხედვით. მითითებული სურათები

შესაბამისად გამოჩნდება პროფორმა ინვოისის ფორმის საწყისს და ბოლო ნაწილში, რომლის დაბეჭდვაც შესაძლებელია შეკვეთის ოპერაციიდან.



☑ სურათის ფაილის არ არსებობის შემთხვევაში ეკრანზე გამოვიდეს შეტყობინება მოსანიშნის მონიშვნით, პირველ და მეორე ველში სურათის ფაილის არ არსებობის შემთხვევაში ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება.

ველში **ჩაანაცვლე წარწერა „პირველი პირი“** შესაძლებელია ნებისმიერი სასურველი ტექსტის ჩაწერა.

☐ "პირველ პირის" ტექსტში გამოჩნდეს მომხმარებლის სახელი მონიშვნის დროს პროფორმა ინვოისში, ჩაანაცვლე წარწერა „პირველი პირი“ ველში მითითებული ტექსტის შემდეგ, გამოჩნდება მომხმარებლის სახელი.

8. „სხვადასხვა“

ბარათში სხვადასხვა შესაძლებელია შემდეგი პარამეტრების განსაზღვრა:



„მიწოდების/გადატანის ოპერაციიდან სასაქონლო სიაზე გასვლისას აჩვენე მხოლოდ ნაშთის მქონე საქონელი“ - მოსანიშნის მონიშვნის შემთხვევაში სასაქონლო სიაზე გასვლისას აღარ გამოჩნდება ნაშთის არმქონე საქონელი;

„ახალი ოპერაციის დამატებისას ჯერ გამოჩნდეს ორგანიზაციის ასარჩევი ეკრანი“- მოსანიშნის მონიშვნის შემთხვევაშიახალი ოპერაციის დამატებისთანავე გაიხსნება ორგანიზაციების სია ორგანიზაციის ასარჩევად;

„ზედნადების ატვირთვისას გამოვიდეს შეტყობინება თუ სასაქონლო/მომსახურების სიაში მითითებულია მომსახურება“- მოსანიშნის მონიშვნის შემთხვევაში, თუ ოპერაციაში, რომლიდანაც ვტვირთავთ ზედნადებს მითითებულია მომსახურებაც, ზედნადების ატვირთვამდე სისტემა შეგვატყობინებს ამის შესახებ:



თუ ოპერაციის სასაქონლო სიაში არის მხოლოდ მომსახურება, მაშინ გამოვა შესაბამისი შეტყობინება და ზედნადების ატვირთვის ეკრანი არ გაიხსნება.



„მიწოდების ოპერაციას აქვს ანგარიშსწორება“- თუ მოსანიშნი მონიშნულია, მიწოდების ოპერაციის შესრულების შემდეგ გამოვა დიალოგური ფანჯარა:





ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში შეძლებთ ანგარიშსწორების ოპერაციის შესრულებას.

„მობრუნების ოპერაციას აქვს ანგარიშსწორება“ - მოსანიშნის მონიშვნის შემთხვევაში მობრუნების ოპერაციის შესრულების შემდეგ გამოვა დიალოგური ფანჯარა, გვსურს თუ არა ანგარიშსწორების ოპერაციის დამატება.

„ცხრილის სტრიქონის სიმაღლე“–პარამეტრის ცვლილებით შეგიძლიათ ეკრანზე სტრიქონების სიმაღლის შეცვლა.

„დასათაურების სიგანე“-(არ გამოიყენება)

ღილაკზე

დაჭერით ველებში დაბრუნდება სტანდარტული მნიშვნელობები.

„აჩვენე ციფრული კლავიატურა რიცხვით ველში შესვლისას“- მოსანიშნი თუ მონიშნულია, ნებისმიერ ოპერაციაში რიცხვით ველზე დადგომის შემთხვევაში გამოვა ციფრული კლავიატურა და მხოლოდ ამ ციფრული კლავიატურიდან იქნება შესაძლებელი რიცხვების მითითება.

„ექსპორტის ფაილის პრეფიქსი“- ველში მითითებული სიმბოლოები გამოიყენება პრეფიქსის სახით მარკეტიდან გაექსპორტებული მონაცემების ფაილის დასახელების დაფორმირებისას.

„შემოსავლის ორდერის საწყისი ნომერი“- მითითებული მნიშვნელობიდან დაიწყება ათვლა შემოსავლის ორდერის ნომრის დასაფორმირებლად;

„გასავლის ორდერის საწყისი ნომერი“-მითითებული მნიშვნელობიდან დაიწყება ათვლა გასავლის ორდერის ნომრის დასაფორმირებლად;

მიღება ჩაბარების აქტი: დასათაურება, ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირის გვარი სახელი“- ველებში მითითებული მნიშვნელობებს სისტემა გაიტანს მიღება-ჩაბარების აქტის ფორმაში, რომლის დაბეჭდვაც შესაძლებელიამიწოდების ოპერაციიდან;

„მყიდველის ვალის ბლოკირების ნაშთზე გადაჭარბების შემთხვევაში დავბლოკოთ მიწოდების/შეკვეთის ოპერაციები“- თუ მიწოდების ოპერაციაში ან შეკვეთაში მითითებული საქონელის მიწოდებით მყიდველი ორგანიზაციის ჯამური დავალიანება გადააჭარბებს ორის მენეჯერის მხარეს ორგანიზაციების სიაში ამ ორგანიზაციისათვის მითითებულ ბლოკირების ნაშთს, მიწოდება და შეკვეთა არ შესრულდება, გამოვა შესაბამისი შეტყობინება;

„სასაქონლო ნაშთის დამრგვალების თანრიგი“- ველში მითითებული რაოდენობის თანრიგის სიზუსტით გვიჩვენებს საქონლის რაოდენობრივ ნაშთებს, როგორც ოპერაციებში ასევე ანალიზის ეკრანებშიც;

„ოპერაციებში “სასაქონლო/მომსახურების სიის ფორმირება“ ღილაკზე დაჭერისას სასაქონლო/მომსახურების სიაში მოინიშნოს წინა ჯერზე არჩეული საქონელი/მომსახურება“ - თუ ოპერაციაში რამდენჯერმე გავდივართ ეკრანზე „სასაქონლო/მომსახურების სიის ფორმირება“, წინა ჯერზე არჩეული საქონელი მოინიშნება ავტომატურად;

„ავტომატურად გახსენი სურათის ფანჯარა სასაქონლო/მომსახურების სიის გახსნისას“ - სასაქონლო სიის გახსნის შემდეგ ავტომატურად გაიხსნება მონიშნული საქონლის სურათი .

პარამეტრებში 

ღილაკზე დაჭერით გამოსულ ფანჯარაში შესაძლებელია ორის მარკეტის კონკრეტული მომხმარებლებისთვის უფლებების მინიჭება:



ადმინისტრირება:

მენიუ **ადმინისტრირებიდან** შესაძლებელია მონაცემთა ექსპორტ-იმპორტის და ბაზასთან დასაკავშირებელი პარამეტრების მართვა.



ქვემენიუდან **„გამოცვალე მომხმარებლის პაროლი“-** შესაძლებელია მომხმარებელის პაროლის ცვლილება:



ამისათვის გამოსულ ეკრანზე უნდა შევიყვანოთ და დავადასტუროთ პაროლი. **OK**ღილაკზე დაჭერით მოხდება პაროლის ცვლილება, სისტემა შეგატყობინებთ ამის შესახებ:



ქვემენიუ **„მონაცემების იმპორტი“-** დან შესაძლებელია ორის მენეჯერიდან გაექსპორტებული ნაშთების ფაილის ორის მარკეტში მიიმპორტება;

„მონაცემების ექსპორტი“- ხდება ორის მარკეტის ოპერაციების გაექსპორტება ორის მენეჯერში მისაღებად;

„ელფოსტის მიღება“-ელექტრონული ფოსტით იმპორტის ფაილის მიღება;

„ელფოსტის გაგზავნა“-ელექტრონული ფოსტით გაექსპორტებული ფაილის გაგზავნა; **„ექსპორტის/გაგზავნის ოპერაციების ისტორია/რეექსპორტი“** - თუ უკვე გაექსპორტებული

მონაცემების ფაილი დაიკარგა, შესაძლებელია მონაცემების რეექსპორტი და აღნიშნული ფაილის ხელახლა დაფორმირება. ამისათვის ძირითადი მენიუდან ვირჩევთ **ფაილი/ადმინისტრირება/ „ექსპორტის/გაგზავნის ოპერაციების ისტორია/რეექსპორტი“.**

ეკრანზე ავტომატურად გვიჩვენებს მიმდინარე დღის ექსპორტის ოპერაციებს, თუ გვინდა სხვა თარიღში არსებული ექსპორტის ოპერაციების რეექსპორტი, შეგვიძლია შევცვალოთ დიაპაზონი და ეკრანზე გამოცნდება მითითებულ დიაპაზონში განხორციელებულ ყველა ექსპორტის ოპერაციას:



მონიშნეთ სასურველ ოპერაცია/ ოპერაციები და დააჭირეთ ღილაკს 

.

შემდეგ მიუთითეთ მარშრუტს, სადაც შევინახავთ გაექსპორტებულ ფაილს და 

ღილაკზე დაჭერის შემდეგ პროგრამა შეგვატყობინებს ექსპორტის დასრულების შესახებ:



„საქონლის სურათების იმპორტი“- ქვემენიუდან ხდება ორის მენეჯერიდან გაექსპორტებული სურათების ფაილის ორის მარკეტში მიღება;

„მონაცემთა ბაზასთან დაკავშირება“-მენიუდან შესაძლებელია ორის მარკეტის სხვა მონაცემთა ბაზასთან დაკავშირება.

ქვემენიუ **„გასვლის“** საშუალებით დახურავთ **„ორის მარკეტის“** პროგრამას.

მენიუ **ოპერაციები** შედგება რამოდენიმე ოპერაციისგან.

მიწოდება.

მიწოდების ოპერაციის შესასრულებლად აირჩიეთ ***ოპერაციები/ მიწოდება***. იხილავთ მიწოდების ოპერაციების ეკრანს – ***„მიწოდების ოპერაციები“***:



ახალი მიწოდების ოპერაციის დასამატებლად დააჭირეთ ღილაკს (დამატება), იხილავთ ეკრანს ***„ახალი მიწოდების ოპერაცია“.***



ეკრანი გაყოფილია ორ ნაწილად. ზედა ნაწილში მოთავსებულია შემდეგი ველები:

თარიღი - ველს ***"თარიღი"*** სისტემა ავტომატურად ანიჭებს მიმდინარე თარიღსა და დროს კომპიუტერის თაიმერიდან, თუმცა ეს ველი თქვენი სურვილისამებრ შეგიძლიათ შეავსოთ.

დოკუმენტის ნომერი - ველში *"დოკუმენტის ნომერი"* სისტემა თვითონ ანიჭებს დოკუმენტს მიმდინარე ნომერს და დისტრიბუტორის იდენტიფიკატორს - მისი დასახელების პირველი სიმბოლოთი,ხოლო ყოველ მომდევნოს ზრდის ერთით.

კოდის პრეფიქსი ნომერში - ველში *"კოდისპრეფიქსი ნომერში"* შეიტანეთ ერთი სიმბოლო (ასო, ციფრი და ა.შ.), რომელიც ყოველთვის იქნება დოკუმენტის ნომერში სუფიქსად. მისი საშუალებით მარტივად იქნება შესაძლებელი ოპერაციის შემსრულებლის იდენტიფიცირება.

მიმღები - ველში *"მიმღები"*, ბმულით მიმღები გამოიძახეთ ეკრანი ***„აირჩიე ორგანიზაცია"***, რომელშიც აირჩევთ საქონლის მიმღები ორგანიზაციის დასახელებას. აქვე ნახავთ აღნიშნული ორგანიზაციის შესახებ სხვა ინფრომაციას, ისეთს როგორიცაა საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული თუ ფაქტიური მისამართები, მშობელი კომპანიის დასახელება (თუ ასეთი არსებობს), საწყის თუ მიმდინარე ვალს, ასევე არჩეული დისტრიბუტორის მიმდინარე ვალს და სხვა. თუ სასურველი ორგანიზაცია ან პიროვნება არ არის ორგანიზაციების სიაში, ღილაკზე 

დაჭერის შემდეგ გაიხსნება ახალი ორგანიზაციის დამატების ეკრანი:



ეკრანში შესაძლებელია საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით და ღილაკზე 

დაჭერით ორგანიზაციის დასახელების, ფაქტიური და იურიდიული მისამართის ჩამოტვითვა პორტალიდან, ასევე ფიზიკური პირის პირადი ნომრის მითითების შემთხვევაში ღილაკზე 

დაჭერით პიროვნების სახელის და გვარის ჩამოტვირთვა შემოსავლების სამსახურის web გვერდიდან.

ღილაკზე დაჭერით თქვენს მიერ დამატებული თუ ჩამოტვირთული ორგანიზაცია/ფიზიკური პირი დაემატება ორგანიზაციების სიაში.

ეკრანის *"ახალი მიწოდების ოპერაცია"*,ველებში *"საიდენტიფიკაციო კოდი"* და *"მოკლე დასახელება"* სისტემა თავად ჩაწერს არჩეული ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერსა და ორგანიზაციის მოკლე დასახელებას, რომელიც შესაძლოა დაფიქსირებული იყოს **„ორის მენეჯერის"** ცენტრალური ბაზის ორგანიზაციების სიაში არსებულ შესაბამის ველში.

"ფასის ტიპი" - ეკრანის *"ახალი მიწოდების ოპერაცია"* ველში *"ფასის ტიპი"* სისტემა ავტომატურად ჩაწერს იმ ფასის ტიპს, რომელიც მითითებული აქვს არჩეულ ორგანიზაციას ორგანიზაციების სიაში ორის მენეჯერის მხარეს, ხოლო თუ ფასის ტიპი არ აქვს ორგანიზაციას მითითებული, მაშინ ფასის ტიპების სიაში არსებული ფასებიდან პირველი ჩანაწერის შესაბამის მნიშვნელობას, თუმცა ყოველთვის შეგიძლიათ ღილაკით აირჩიოთ, **"ორის მენეჯერში"** წინასწარ დაფორმირებული, ის ფასის ტიპი, რომლითაც აპირებთ აღნიშნულ მყიდველთან მიწოდების ოპერაციის შესრულებას.

"გადახდის ვადა" - ამ ველში შესაძლებელია მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდის ვადის მითითება, მითითებული თარიღი გამოიყენება ორის მენეჯერის მხარეს მყიდველის გადახდის გრაფიკის ფორმირებისათვის.

"შენიშვნა" - ველში *"შენიშვნა"* შეგიძლიათ შეიტანოთ მოცემულ მიწოდების ოპერაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სასარგებლო ინფორმაცია.

ეკრანი *"აირჩიე ორგანიზაცია"* შედგება ორი ბარათისგან.

ბარათი სია.

ბარათის სია არჩევისას, გამოჩნდება მყიდველი ორგანიზაციების სია, მათი რეკვიზიტებისა და ფინანსური მდგომარეობის აღმწერი ველებით:



დასახელება - ველში *"დასახელება"* მოცემულია მყიდველი ორგანიზაციის დასახელება.

საიდენტიფიკაციო კოდი - ველში *"საიდენტიფიკაციო კოდი"* მოცემულია მყიდველი ორგანიზაციის, გადასახადის გადამხდელის მოწმობაში მითითებული საიდენტიფიკაციო ნომერი.

მოკლე დასახელება - ველში *"მოკლე დასახელება"* მოცემულია მყიდველი ორგანიზაციის მოკლე დასეხელება.

დღგ-ს ტიპი - ველში *"დღგ-ს ტიპი"* მოცემული იქნება ორგანიზაციის შესაბამისი დღგ-ს ტიპი, რომელიც მინიჭებული აქვს აღნიშნულ ორგანიზაციას **"ორის მენეჯერში"**.

მშობელი ორგანიზაცია - ველში *"მშობელი ორგანიზაცია"* მოცემულია მყიდველი კომპანიის მშობელი ორგანიზაციის დასეხელება, თუ ასეთი არსებობს.

ქალაქი - ველში *"ქალაქი"* მოცემულია მყიდველი კომპანიის მისამართში მითითებული ქალაქის დასეხელება.

იურიდიული მისამართი - ველში *"იურიდიული მისამართი"* მიეთითება ის მისამართი, რომელიც მითითებულია მყიდველი კომპანიის რეგისტრაციის დოკუმენტში.

ფაქტიური მისამართი - ველში *"ფაქტიური მისამართი"* შეტანილი იქნება ის მისამართი, რომელზეც ეს მყიდველი კომპანია რეალურად ფუნქციონირებს.

საწყისი ვალი. ველში *"საწყისი ვალი"* მოცემულია მყიდველი კომპანიის სრული (კლიენტი კომპანიის ყველა ფილიალის თუ შვილობილი ორგანიზაციის ჩათვლით) დავალიანების ან ავანსის (უარყოფითი ნიშნით) ოდენობა თქვენი ორგანიზაციის მიმართ სისტემაზე გადასვლის (ორის მენეჯერის მხარეს ნაშთების გაექსპორტების) თარიღის მდგომარეობით.

დისტრიბუტორის საწყისი ვალი - ველში *"დისტრიბუტორისსაწყისივალი"* მოცემულია სისტემაზე გადასვლის (ორის მენეჯერის მხარეს ნაშთების გაექსპორტების) თარიღისთვის, მყიდველი კომპანიის დავალიანება ან ავანსი (უარყოფითი ნიშნით) თქვენი როგორც დისტრიბუტორის მიმართ.

მიწოდებული საქონლის თანხა - ველში *"მიწოდებული საქონლის თანხა"* მოცემულია მყიდველი კომპანიის მიერ, თქვენი ორგანიზაციის **„ორის მარკეტის"** პროგრამულ უზრუნველყოფაზე გადასვლის შემდეგ, მიღებული საქონლის ჯამური ღირებულება.(მარკეტის მიმდინარე ოპერაციების გათვალისწინებით)

კლიენტის გადახდილი თანხა - ველში *"კლიენტის გადახდილი თანხა"* მოცემულია მყიდველი კომპანიის მიერ, დისტრიბუტორისთვის დავალიანების გაქვითვის მიზნით ან წინასწარ, ავანსად გადახდილი თანხის ოდენობა. (მარკეტის მიმდინარე ოპერაციების გათვალისწინებით).

მობრუნებული საქონლის თანხა - ველში *"მობრუნებული საქონლის თანხა"* მოცემულია მყიდველი კომპანიის მიერ, თქვენი ორგანიზაციისთვის მობრუნებული საქონლის შესაბამისი თანხის ოდეობა.

გამყიდველის გადახდილი თანხა - ველში *"გამყიდველის გადახდილი თანხა"* მოცემულია ანგარიშსწორების ოპერაციით კონკრეტულ ორგანიზაციაზე გაცემული თანხის ჯამი.

მიმდინარე ვალი - ველში **"მიმდინარე ვალი"** მოცემულია მყიდველი კომპანიის მიმდინარე დავალიანება, რომელშიც გათვალისწინებულია, სისტემაზე გადასვლამდე არსებული ე.წ. საწყისი ვალიც. რიგ შემთხვევებში, როდესაც კლიენტ ორგანიზაციას წინასწარ აქვს გადახდილი საავანსე თანხა, ამ ველში აღირიცხება მის მიერ ავანსად გადახდილი გაუხარჯავი თანხის ოდენობა უარყოფითი ნიშნით.

დისტრიბუტორის მიმდინარე ვალი - ველში *"დისტრიბუტორის მიმდინარე ვალი"* მოცემულია მყიდველი კომპანიის მიმდინარე დავალიანება ან ავანსი (უარყოფითი ნიშნით) დისტრიბუტორის მიმართ საწყისი ვალის გათვალისწინებით.

ბარათი

.

ბარათის

არჩევისას, იხილავთ ეკრანს, *სადაც*მოცემულია კომპანიების მახასიათებელი რამოდენიმე ველი, რომელთა კომბინაციით შეძლებთ დააფორმიროთ ფილტრის ის კონფიგურაცია, რომელიც გაგიადვილებთ სასურველი კომპანიის სწრაფ მიებას:



ფილტრის კონფიგურაციის მითითების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს გაფილტრე, რათა ბარათში სია დარჩეს მხოლოდ ფილტრის პირობების დამაკმაყოფილებელი ორგანიზაციები. მოძებნილი ორგანიზაციის ასარჩევად დააჭირეთ ღილაკს აირჩიე. ფილტრის ახალი კონფიგურაციის დასაფორმირებლად ან ფილტრის გასაუქმებლად გამოიყენეთ ღილაკი გაასუფთავე.

თუ არ გამოიყენებთ ღილაკს გაფილტრე და პირდაპირ დააჭერთ ღილაკს აირჩიე, მაშინ ეკრანის ***„ახალი მიწოდების ოპერაცია“***, ველში ***„მიმღები“*** ავტომატურად ჩაიწერება, ეკრანში ***„აირჩიე საქონლის მიმღები“*** არსებული რიგით პირველი ორგანიზაციის დასახელება.

ეკრანის ***„ახალი მიწოდების ოპერაცია“***, ბარათში სასაქონლო სია დააფორმირეთ იმ საქონლის სია, რაოდენობა და ღირებულება, რომლის მიწოდებასაც აპირებთ მომხმარებლისთვის.

ამისთვის, დააჭირეთ ამ ეკრანის ქვედა მხარეს მოთავსებულ ღილაკს - სასაქონლო სიის ფორმირება. გაიხსნება ეკრანი ***”სასაქონლო სიის ფომირება”***, რომელშიც მოცემულია ორი ბარათი:



ბარათი სია.

ეკრანის *"სასაქონლო/მომსახურების სიის ფორმირება"*, ბარათის სია ველებში მოცემული იქნება **"ორის მენეჯერის"** სასაქონლო სიიდან იმპორტირებული ინფორმაცია დისტრიბუტორის ბორტზე ან მაღაზიაში არსებული საქონლის და მათი ნაშთების შესახებ. ეკრანში *"სასაქონლო სიის ფომირება"*, თქვენ საშუალება გეძლევათ შეცვალოთ ცისფერი ფონისმქონე ველების მნიშვნელობები. კერძოდ, არჩეული საქონლის რაოდენობა, საქონლის აღრიცხვის რაოდენობრივი ერთეული და ფასის ის ტიპი, რომლითაც აპირებთ კონკრეტულ მომხმარებელთან კონკრეტული საქონლის რეალიზებას.

ეკრანში *"სასაქონლო სიის ფომირება"* შეგიძლიათ მონიშნოთ კლიენტისთვის მისაწოდებელი საქონელი და ღილაკზე შეინახე დაჭერით არჩეული საქონელი დაემატება *"ახალი მიწოდების ოპერაციის"* ეკრანში. საქონლის არჩევა შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურად, ასევე რამოდენიმესი ერთად. თუ თქვენ გინდათ ერთდროულად აირჩიოთ რამოდენიმე საქონელი, მაშინ მონიშნეთ ისინი ეკრანის *"სასაქონლო სიის ფომირება"* უკიდურესი (დასახელების არ მქონე) ველიდან კლავიატურის **"Ctrl" „Shift** კლავიშის გამოყენებით ან მაუსით და დააჭიროთ ღილაკს შეინახე.

ღილაკზე დაჭერით შემთხვევაში გაიხსნება პატარა ეკრანს „სურათი", სადაც გამოჩნდება მონიშნული საქონელის გამოსახულება .

ბარათი ფილტრი.

ბარათში ფილტრი მოცემულია საქონლის მახასიათებელი რამდენიმე პარამეტრი, რომელთა კომბინაციით შეძლებთ დააფორმიროთ ფილტრის იმგვარი კონფიგურაცია, რომელიც გაგიადვილებთ სასურველი საქონლის სწრაფ ძიებას:



ფილტრის კონფიგურაციის დაფორმირების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს [გაფილტრე], რათა ბარათში [სია] დარჩეს მხოლოდ ფილტრის პირობების დამაკმაყოფილებელი საქონელი. მოძებნილი საქონლის ასარჩევად დააჭირეთ ღილაკს [შეინახე]. ფილტრის ახალი კონფიგურაციის დასაფორმირებლად ან ფილტრის გასასუფთავებლად გამოიყენეთ ღილაკი [გაასუფთავე]. ღილაკზე [განაახლე სია] დაჭერა გამოიწვევს ბარათიდან [ფილტრი] ბარათში [სია] გადასვლას.

არჩეული საქონლის რაოდენობის ცვლილება აგრეთვე შესაძლებელია ეკრანის ***"ახალი მიწოდების ოპერაციის"*** ველში ***"რაოდენობა"***.

გაითვალისწინეთ, რომ თუკი ველში ***„რაოდენობა"*** მიუთითებთ მისაწოდებელი საქონლის არსებულ ნაშთზე მეტ რაოდენობას, მაშინ სისტემა გამოიტანს შეტყობინებას ამის თაობაზე.

ეკრანში ***"ახალი მიწოდების ოპერაცია"*** ჩაიწერება ეკრანში ***"სასაქონლო სიის ფორმირება"*** არსებული ის საქონელი, რომელსაც ველში ***"რაოდენობა"*** ექნება ნულისგან განსხვავებული მნიშვნელობა.

ერთეული - ველში ***"ერთეული"*** შეგიძლიათ ღილაკით [▾] შეარჩიოთ არჩეული საქონლის რაოდენობრივი ერთეული გაითვალისწინეთ, რომ ეკრანში ***"საქონლის სიის ფორმირება"*** შესაძლებელია შეცვალოთ მხოლოდ ორი ველის მნიშვნელობა, ესენია: ***"რაოდენობა"*** და ***"ერთეული"***. დანარჩენი ველების (ფასი, ფასდაკლების%, უსასყიდლოდ მიწოდება) ცვლილების უფლების ჩართვა ხდება თითოეული ორის მარკეტის მომხმარებლისათვის პარამეტრებიდან, მომხმარებლის უფლებების ეკრანში.

არჩეული საქონლის რაიმე მიზეზის გამო სარეალიზაციო სიიდან წასაშლელად, დადექით საქონლის შესაბამის და დააჭირეთ ღილაკს [წაშალე].

-თუ რაიმე მიზეზის გამო ვერ ახერხებთ ოპერაციის შენახვას, შეგიძლიათ ეს ოპერაცია გაიტანოთ და შეინახოთ OMK ფაილის სახით და შემდეგ მიიიმპორტოთ ახალ ოპერაციაში ღილაკზე

დაჭერით.

მიწოდების ოპერაციის დასასრულებლად დააჭირეთ ეკრანის ***"ახალი მიწოდების ოპერაცია"*** ქვედა ნაწილში მდებარე ღილაკს

. იხილავთ შეკითხვის ეკრანს :



თუ გსურთ, რომ ამ მიწოდების ოპერაციას არ მოჰყვეს ანგარიშსწორების ოპერაციაც, დააჭირეთ ღილაკს

და ეკრანში ***„მიწოდების ოპერაციები"*** დაემატება აღნიშნული მიწოდების ოპერაციის შესაბამისი ახალი ჩანაწერი. თუ დააჭერთ ღილაკს

, მაშინ გაიხსნება ანგარიშსწორებების ეკრანი ***"ახალი ანგარიშსწორება"***:



თარიღი -ველში ***"თარიღი"*** სისტემა ავტომატურად ჩაწერს მიმდინარე თარიღს, თუმცა ხელითაც შესაძლებელია ანგარიშსწორების სასურველი თარიღის არჩევა.

ველებში ***"გადამხდელი"***, ***"საიდენტიფიკაციო კოდი"*** და ***"მოკლე დასახელება"*** სისტემა თავად ჩაწერს შესაბამის მნიშვნელობებს. აქვე, საჭიროების შემთხვევაში ბმულით

შეგიძლიათ გახსნათ "ორგანიზაციების სია" და აირჩიოთ სხვა გადამხდელი.

დოკუმენტის ნომერი - ველში *"დოკუმენტის ნომერი"* შეგიძლიათ მიუთითოთ დოკუმენტის ნომერი.

გადახდა ნაღდი: - ველში *"გადახდა ნაღდი"* სისტემა ავტომატურად შეიტანს მიმდინარე მიწოდების ოპერაციის შესაბამის თანხას, თუმცა ხელითაც შესაძლებელია თანხის კორექტირება.

გადახდა ბარათით - შეგიძლიათ მიუთითოთ ბარათით გადახდილი თანხის ოდენობა.

შენიშვნა - ველში *"შენიშვნა"* შეგიძლიათ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სასარგებლო ინფორმაციის შეტანა.

მიწოდების ოპერაციის შესაბამისი სასაქონლო ზედნადების ატვირთვა შესაძლებელია ავტომატურად (პარამეტრებში შესაბამისი მოსანიშნის მონიშვნით), მიწოდების ოპერაციის შესრულებისთანავე ან მიწოდების ოპერაციების სიაში ღილაკზე [ზედნადები] დაჭერით. თუ პარამეტრებში მონიშნულია მოსანიშნი "ვაჩვენოთ ზედნადების პარამეტრები მის ატვირთვამდე" , გაიხსნება ზედნადების მონაცემების ეკრანი:



ზედნადების საჭირო პარამეტრების შევსების შემდეგ,

[შეინახე და დაათვალიერე]-ღილაკზე დაჭერით მოხდება სასაქონლო ზედნადების შენახვა სისტემაში და ამავე დროს ეკრანზე გამოვა სასაქონლო ზედნადების ფორმა.

[შეინახე] -ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში სასაქონლო ზედნადები შეინახება სისტემაში.

[უარი]-ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში დაიხურება ზედნადების მონაცემების ეკრანი და სასაქონლო ზედნადები არ შეინახება სისტემაში.

[შეინახე და ატვირთე] ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში გამოვა ზედნადების ატვირთვის ეკრანი:



ეკრანის ზედა ნაწილში იხილავთ ზედნადების სტატუსს,
ეკრანზე უნდა მოვნიშნოთ ზედნადების შენახვა გინდათ, გააქტიურება თუ დასრულება. დასრულებულად ატვირთვის შემთხვევაში შეგიძლიათ შესაბამისი მოსანიშნებით ავტვირთოთ სასაქონლო ზედნადებთან ერთად ანგარიშ/ფაქტურა და გადაუგზავნოთ მყიდველს.



ღილაკზე დაჭერის შემდეგ სასაქონლო ზედნადებიაიტვირთება შემოსავლების სამსახურის web გვერდზე.
თუ ზედნადების სტატუსი დასრულებულია, ასეთ შეთხვევაში ზედნადების ატვირთვის ღილაკი არ იქნება აქტიური.

-ღილაკზე დაჭერით დაიხურება ზედნადების ატვირთვის ეკრანი.

შეკვეთები

„ორის მარკეტში“ გათვალისწინებულია კლიენტებისგან შეკვეთების მიღების პროგრამული უზრუნველყოფა. იმისთვის, რომ მიიღოთ შეკვეთა შედით *მენიუში:* ***ოპერაციები/***

შეკვეთა. გაიხსნება ეკრანი ***„შეკვეთები“***, რომელშიც მოცემული იქნება სავაჭრო ობიექტის ან დისტრიბუტორის მიერ უკვე დაფორმირებული შეკვეთის ოპერაციების სია:



ახალი შეკვეთის ოპერაციის დასამატებლად იქვე ეკრანში დააჭირეთ დამატების ღილაკს, რითიც გახსნით ეკრანს ***„ახალი შეკვეთა“***, რომელშიც დააფორმირებთ შეკვეთის ახალ ოპერაციას:



ეს ეკრანი, მცირედი განსხვავებებით, მსგავსია ***„ახალი მიწოდების ოპერაციის“*** ეკრანისა. აქ, ეკრანის ზედა ნაწილში დამატებით არის ველი ***„მიწოდების თარიღი“***, მოსანიშნი „ინვოისირებულია“ და ღილაკი „პროფორმა ინვოისი“.

მიწოდების თარიღი - ველში ***„მიწოდების თარიღი“*** სისტემა ავტომატურად ჩასვამს კომპიუტერის მიმდინარე თარიღის მომდევნო თარიღს, თუმცა ხელითაც შესაძლებელია შეკვეთაში საქონლის მიწოდების სასურველი თარიღის არჩევა.

ინვოისირებულია მოსანიშნის მონიშნის შემთხვევაში, აღნიშნული ოპერაციების ორის მენეჯერში დარეგისტრირების შემდეგ, ინვოისირება აისახება ორის მენეჯერის მხარეს და ამავე დროს მითითებული საქონლის რაოდენობა დააკლდება საქონლის გამოყენებად ნაშთს.

პროფორმა ინვოისი ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში ეკრანზე გამოვა კონკრეტული შეკვეთის შესაბამისი პროფორმა-ინვოისის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ დაბეჭდოთ და გადასცეთ მყიდველს.

ოპერაციის ექსპორტი -თუ რაიმე მიზეზის გამო ვერ ახერხებთ შეკვეთის შენახვას, შეგიძლიათ ეს ოპერაცია გაიტანოთ და შეინახოთ OMK ფაილის სახით და შემდეგ მიიიმპორტოთ ახალ ოპერაციაში ღილაკზე ოპერაციის იმპორტი დაჭერით.

ანგარიშსწორება

თუ გსურთ დააფორმიროთ მიწოდების ოპერაციისგან დამოუკიდებელი ანგარიშსწორება, მაშინ შედით ***მენიუ/ ოპერაციები/ ანგარიშსწორება.*** იხილავთ ანგარიშსწორებების ეკრანს, რომელშიც მოცემული იქნება სავაჭრო ობიექტის ან დისტრიბუტორის მიერ შესრულებული ანგარიშსწორებების ოპერაციების სია:



ახალი ანგარიშსწორების ოპერაციის დასამატებლად იქვე ეკრანში დააჭირეთ დამატების ღილაკს, იხილავთ ეკრანს ***„ახალი ანგარიშსწორება“*** . ამ ეკრეანზე მოცემული ველების შევსების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს , რომელიც დაფორმირებულ ანგარიშსწორების ოპერაციას დაამატებს ეკრანში ***„ანგარიშსწორებები“***.

საქონლის მობრუნება

მყიდევლისგან საქონლის უკან მობრუნების ოპერაციის შესასრულებლად გამოიყენება ოპერაცია **"საქონლის მობრუნება".** საქონლის მობრუნების ოპერაცია მსგავსია მიწოდების ოპერაციის. მიწოდების ოპერაციისაგან განსხვავებით მიღება-ჩაბარების აქტის ნაცვლად აქ შესაძლებელია საქონლის უკან მობრუნების აქტის დაბეჭდვა და არ ხდება მონაცემების იმპორტი შეკვეთიდან.

საცალო გაყიდვა

საცალო გაყიდვის ოპერაციების განსახორციელებლად უნდა გამოვიძახოთ მენიუ: **ოპერაციები/საცალო გაყიდვა.** გაიხსნება ახალი საცალო გაყიდვის ოპერაციის ეკრანი და თუ შტრიხკოდით არჩევის რეჟიმი არაა ჩართული, ამავე დროს გაიხსნება სასაქონლო სია საქონლის ასარჩევად:



სასურველი საქონლის არჩევის შემდეგ უნდა დავაჭიროთ ღილაკს

და არჩეული საქონელი მოხვდება საცალო გაყიდვის ეკრანზე საქონლის ჩამონათვალში:



ველი **„ფასის ტიპი“** ავტომატურად შეივსება საცალო გაყიდვის პარამეტრებში მითითებული ფასის ტიპით. თუ ორის მარკეტის იმ მომხმარებელს, რომლითაც შესული ვართ სისტემაში, პარამეტრებში, მომხმარებლის უფლებებში მონიშნული აქვს **„აქვს ფასის ტიპის შეცვლის უფლება საცალო გაყიდვის ოპერაციაში“**შეუძლია ჩამოშლადი სიიდან აირჩიოს სისტემაში არსებული სხვა ფასის ტიპი;

ველში **„შენიშვნა“**შეგიძლიათ ოპერაციის შენიშვნის მითითება ან დააჭირეთ ველს

და გამუსულ შენიშვნების სიიდან აირჩიეთ ან ამ სიაში დაამატეთ შენიშვნის ტექსტი;

საქონელის ჩამონათვალში შეგიძლიათ მიუთითოთ გასყიდი საქონლის რაოდენობა, ერთეული, ერთეულის ფასი, თანხა. კორექტირებადი ველები შეფერილია ცისფრად, ხოლო იმის განსაზღვრა, შეუძლია თუ არა ფასის, ფასდაკლებისა და თანხის ველების კორექტირება კონკრეტულ მომხმარებელს, ხდება პარამეტრებში, მომხმარებლის უფლებების ეკრანზე:

ღილაკით 

შესაძლებელია საცალო გაყიდვის ოპერაციიდან სასაქონლო სიაზე გასვლა;

ღილაკით

შესაძლებალია საცალო გაყიდვის ოპერაციაში არჩეული საქონელის/მომსახურების წაშლა (რამდენიმე ჩანაწერის წასაშლელად უნდა მოხდეს კოდის წინ არსებული ცარიელი სვეტის შესაბამისი ჩანაწერების მონიშვნა);



- მოხდება დალაგების გაუქმება;



- ღილაკზე დაჭერით შესაძლებელია საცალო გაყიდვის ოპერაციის შესაბამისი ჩეკის დაბეჭდვა;



- თუ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებთ ოპერაციის დასრულებას, შეგიძლიათ ამ ღილაკით ოპერაციის გაექსპორტება და ახალ ოპერაციაში მიიმპორტება;



-მარკეტიდან გაექსპორტებული ოპერაციის იმპორტი;



- ღილაკზე დაჭერით შესრულდება საცალო გაყიდვის ოპერაცია;



- ღილაკზე დაჭერით დაიხურება საცალო გაყიდვის ოპერაცია ცვლილებების შენახვის გარეშე.

სულ - ველში **„სულ“**მოცემულია საცალო გაყიდვის ოპერაციაში არჩეული საქონელის/მომსახურების შეძენისათვის ჯამური გადასახდელი თანხა;

ნაღდი - ამველში უთითებთ თუ რა თანხას იხდის კლიენტი ნაღდი ანგარიშსწორებით;

ბარათით - ვუთითებთ პლასტიკური ბარათით გადახდილი თანხის ოდენობას;

ხურდა - ველში **„ხურდა“** სისტემა ავტომატურად დაითვლის ნაღდი ანგარიშსწორებით და ბარათით გადახდილ თანხასა და გადასახდელ თანხას შორის სხვაობას.

საქონლის გადატანა

საქონლის გადატანის ოპერაცია სრულდება ერთი საწყობიდან მეორეში საქონლის გადასატანად. გადატანის ოპერაციაში შესაძლებელია, როგორც უკვე ატვირთული შიდა გადაზიდვის სასაქონლო ზედნადების ჩამოტვირთვა, ღილაკზე 

დაჭერით, ასევე შიდა გადაზიდვის ზედნადების ატვირთვაც. შიდა გადაზიდვის ზედნადების ატვირთვა შესაძლებელია ავტომატურად (თუ პარამეტრებში გადატანის ოპერაციისათვის მონიშნულია მოსანიშნი „ავტომატურად აიტვირთოს ზედნადები ოპერაციის შესრულების შემდეგ“) ან გადატანის ოპერაციების სიის ეკრანზე, ინსტრუმენტების პანელზე, ღილაკზე 

დაჭერით. ამ ოპერაციის შესრულების შემდეგ სასაქონლო ნაშთები გაიზრდება სასაქონლო ზედნადებში მითითებული რაოდენობით.

საქონლის გადმოტანა

საქონლის გადმოტანის ოპერაცია სრულდება სხვა საწყობიდან საქონლის გადმოსატანად. გადმოტანის ოპერაციის შესრულებისას გამგზავნი საწყობის არჩევის შემდეგ ავტომატურად იხსნება სასაქონლო ზედნადების ჩამოტვირთვის ეკრანი, საიდანაც შესაძლებელია შიდა გადაზიდვის ზედნადების ჩამოტვირთვა.

არქივი

ჩვეულებრივ, ოპერაციების სიაში ინახება ორის მარკეტის მიმდინარე ოპერაციები, ანუ ის ოპერაციები, რომლებიც ჯერ არ გაექსპორტებულა. უკვე გაექსპორტებული ოპერაციების ნახვა შესაძლებელია არქივში. არქივის სანახავად უნდა ავირჩიოთ მენიუ **ოპერაციები/არქივი** და შესაბამისი ოპერაციების სია, რომლის ნახვაც გვინდა, მაგ. მიწოდება:



გამოსულ ეკრანზე იხილავთ უკვე გაექსპორტებულ მიწოდების ოპერაციებს. ეკრანის ქვედა მხარეს კი მოცემულია მონიშნული ოპერაციის შესაბამისი სასაქონლო სია:



არქივში არსებულ ოპერაციებს მხოლოდ ანალიტიკური კუთხით თუ გამოვიყენებთ, მათი კორექტირება ან წაშლა არ ხდება.

მენიუ **ანალიზი**

მენიუში ანალიზი შესაძლებელია შესრულებული ოპერაციების, სასაქონლო ნაშთების, ორგანიზაციების დავალიანებისა და თანხების გაანალიზება:



ორგანიზაციების დავალიანება (F6)-ბარათის ***„სია"*** არჩევისას, გამოჩნდება მყიდველი კომპანიების სია, მათი რეკვიზიტებისა და ფინანსური მდგომარეობის აღმწერი ველებით.

ეკრანშიგაშიფრულია ორგანიზაციების მიხედვით, საწყისი ვალი და დისტრიბუტორის საწყისი ვალი (ორის მენეჯერიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე), მიწოდებული საქონლის თანხა, უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის თანხა, მობრუნებული საქონლის თანხა, ორგანიზაციის გადახდილი თანხა, ორგანიზაციისთვის გადახდილი თანხა (მარკეტში ანგარიშსწორებით გაცემული თანხა), მიმდინარე ვალი, მიმდინარე დისტრიბუტორის ვალი და ბლოკირების ნაშთი. ასევე მოცემულია ორგანიზაციის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა დღგ-ს ტიპი, ფაქტიური მისამართი და ფასის ტიპი.

ბარათის *„ფილტრი"*არჩევისას იხილავთ კომპანიების მახასიათებელი რამოდენიმე პარამეტრის შესაბამის ველებს, რომელთა კომბინაციითაც შეძლებთ დააფორმიროთ ფილტრის იმგვარი კონფიგურაცია, რომელიც გაგიადვილებთ სასურველი კომპანიის სწრაფ მოძებნას.





ღილაკზე დაჭერის შემდეგ ეკრანზე იხილავთ მხოლოდ გაფილტრული ორგანიზაციების თანხების ანალიზს.

სასაქონლო ნაშთები (F7) - სასაქონლო ნაშთების ეკრანზე ბარათის ***„სია"*** არჩევისას, გამოჩნდება საქონლის მახასიათებელი ველები. აქ აგრეთვე მოცემულია სავაჭრო ობიექტში ან

დისტრიბუტორის ბორტზე არსებული საქონლის რაოდენობასთან და ღირებულებასთან დაკავშირებული მონაცემები. (საქონლის საწყისი ნაშთი (ორის მენეჯერიდან ბოლო ჯერზე მიღებული სასაქონლო ნაშთები), გაყიდული, გადატანილი, გადმოტანილი და მობრუნებული რაოდენობები და მიმდინარე ნაშთი. აქვე შეგიძლიათ ნახოთ კონკრეტული საქონელის დღგ-ს ტიპი და ერთეულთა სისტემა). თუ მიმდინარე თარიღიდან ვარგისიანობის ვადამდე დარჩენილია კრიტიკულ პერიოდზე ნაკლები თვეების რაოდენობა (თუ მიმდინარე თვიდან ველში **„ვარგისიანობის ვადა“** მითითებულ თარიღამდე დარჩენილია ველში **„კრიტიკული პერიოდი ვარგისიანობის ვადამდე“** მითითებულ მნიშვნელობაზე ნაკლები თვეების რაოდენობა), ასეთი საქონელი სიაში მიიღებს წითელ შეფერილობას.

სასაქონლო ნაშთების ეკრანიდან შესაძლებელია ყველა არსებული სასაქონლო ნაშთის მიხედვით სასაქონლო ზედნადების ატვირთვა 

ღილაკის მეშვეობით.

ბარათიდან **„ფილტრი“**შესაძლებელია სასაქონლო ნაშთების ეკრანზე ნაშთის მქონე და ნაშთის არმქონე საქონელის გაფილტვრა ან საქონლის გაფილტვრა დასახელების, კოდის და მოკლე დასახელების მიხედვით.

ბარათის ***„ფილტრი“*** არჩევისას, გამოჩნდება საქონლის მახასიათებელი რამოდენიმე პარამეტრის შესაბამისი ველი, რომელთა კომბინაციითაც შეძლებთ დააფორმიროთ ფილტრის იმგვარი კონფიგურაცია, რომელიც გაგიადვილებთ სასურველი საქონლის სწრაფ მოძებნას:



ფილტრის კონფიგურაციის დაფორმირების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს

, რათა ეკრანში ***„სასაქონლო ნაშთები“***დარჩეს მხოლოდ ფილტრის პირობების დამაკმაყოფილებელი საქონელი. ფილტრის ახალი კონფიგურაციის დასაფორმირებლად ან ფილტრის გასაუქმებლად გამოიყენეთ ღილაკი

.

მიწოდების ოპერაციები (ანალიზი)- ეკრანში გაშიფრულია საქონელის მიხედვით მარკეტში არსებული ყველა მიწოდების ოპერაცია, ნაჩვენებია თუ რომელმა მომხმარებელმა შეასრულა კონკრეტული ოპერაცია. გაექსპორტებული ოპერაციები მონიშნულია შესაბამისი მოსანიშნით.

შეკვეთები(ანალიზი)-ეკრანში გაშიფრულია საქონელის მიხედვით მარკეტში არსებული ყველა შეკვეთა, ასევე ნაჩვენებია თუ რომელმა მომხმარებელმა შეასრულა კონკრეტული შეკვეთა, გაექსპორტებული შეკვეთები მონიშნულია შესაბამისი მოსანიშნით.

შესაბამისი ოპერაციების დაწვრილებითი ანალიზი მოცემულია ეკრანებში: **მობრუნების ოპერაციები (ანალიზი),საცალო გაყიდვები (ანალიზი),საქონლის გადატანა (ანალიზი),საქონლის გადმოტანა(ანალიზი);**

თანხები(ანალიზი)- გაანალიზებულია მიღებული და გაცემული თანხები, გაშიფრულია ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებები. თუ ეკრანზე მონიშნულია მოსანიშნი

თანხების ანალიზს გვაჩვენებს თითოეული მომხმარებლის მიხედვით. ეკრანში ავტომატურად გვიჩვენებს მიმდინარე დღის თანხების ანალიზს, თუმცა შესაძლებელია დიაპაზონის შეცვლაც.

მენიუ **ხედვა**.

მენიუში **„ხედვა“** მოცემულია ორი ქვემენიუ: **„ამოცანების ზოლი“** და **„სტატუსის ზოლი“**.



ქვემენიუ **„ამოცანების ზოლის“** მონიშვნის შემთხვევაში –

, ეკრანის მარჯვენა მხარეს იხილავთ ამოცანების ზოლს.

ქვემენიუ **„სტატუსის ზოლის“** მონიშვნის შემთხვევაში –

, ეკრანის ქვედა ნაწილში იხილავთ სტატუსის ზოლს.

მენიუ **ფანჯრები**.

მენიუ **„ფანჯრები“** იძლევა**„ორის მარკეტის“**ძირითად ეკრანში, ერთდორულად გახსნილი, რამოდენიმე სხადასხვა სამუშაო ეკრანის წარმოდგენისა და დალაგების შესაძლებლობას:



მენიუში **„ფანჯრებში“**არის ეკრანების დალაგების სამი ვარიანტი: ***„კასკადური“***, ***„ვერტიკალური“*** და ***„ჰორიზონტალური“***. სამუშაო ეკრანების განლაგების წესის არჩევა

დამოკიდებულია პროგრამის მომხამრებლის ინდივიდუალურ აღქმაზე. აურჩევლად სისტემა, ავტომატურად ირჩევს განლაგებას ***„კასკადურს“***.

აღსანიშნავია, რომ მენიუ **„ფანჯრებში“**დაემატება ყველა, იმ დროისთვის, გახსნილი ეკრანის შესაბამისი დასახელება, ხოლო მოსანიშნი გაუჩნდება ბოლოს გახსნილი ან გააქტიურებული ეკრანის დასახელებას. ამავ მენიუში, შესამაბისი ეკრანის დასახელების მონიშვნით შეგიძლიათ გააქტიუროთ სასურველი ეკრანი:



აქვეა ღილაკი

, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ ერთდროულად დახუროთ ყველა გახსნილი ეკრანი.

მენიუ **“დახმარებაში”** არის ორი ქვემენიუ **“მოშორებული დახმარება“** და **“პროგრამის შესახებ“:**



მოშორებული დახმარება გამოიძახებს პროგრამა TeamViewer-ს, დისტანციური დახმარების განსახორციელებლად.



პროგრამის შესახებ.

მენიუ **„პროგრამის შესახებ“** ხსნის საინფორმაციო ხასიათის ეკრანს, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია პროგრამა ორის მარკეტის შესახებ: